31/12/2024

MES 3 24 0001674077

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17. 12. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:40 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ტეფნაძე** - შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსსიტეტის" აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
10. **ვასილ კიკუტაძე** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **ანა ჯუღელი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

- **შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი - სეუ**

ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
მაკა ადვაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

- **შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი**

ნათია გოცაძე - რექტორი
თეა მჭედლური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაკო ჯაოშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
გიორგი კეპულაძე - პროგრამის ხელმძღვანელი

- **შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

ნინო ჯოჯუა - ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გიორგი წანაწყენიშვილი - არქიტექტურის საბაკალავროპროგრამის ხელმძღვანელი
გიორგი მხარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში

დავით ცირამუა - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის უფროსი

- **ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა
I საკითხი

- აზიმ მუჰამედ მირზაზადე Azim Mohammad Mirzazadeh
- ქრისტინე ჩიხლაძე
- დავით თოფურია
- ნატო დურგლიშვილი
- ლანა ბოკუჩავა

II საკითხი

- არმანდ ფაგანელი Armand Faganel
- ია ნაცვლიშვილი
- ნათია დაღელიშვილი
- შორენა ქურდაძე
- ალექსანდრე კალანდაძე

III საკითხი

- ბალინტ ქადარი **Bálint Kádár**
- ირაკლი ჟვანია
- ირმა ქურდაძე
- გიორგი არქანია

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა თამარ ლომინაძემ .
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის “ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო და “სტრატეგიული კომუნიკაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3.შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4.შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა.
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

დაწესებულებებთან შეთანხმებით დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული მე-4 და მე 5 საკითხები გადაიდო შემდგომი საბჭოს სხდომისთვის.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.
2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის “ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო და “სტრატეგიული კომუნიკაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3.შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ციური დურულმა, აცილების საფუძველია შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საქმის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე აზიმ მირზაზადე, საერთაშორისო ექსპერტი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ინსტიტუციას და დაადასტურა პატივისცემა მათ მიმართ. აღნიშნა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში იყო კარგად ორგანიზებული და განხორციელდა დაწესებულებაში 2024 წლის 17-18 ივლისს. მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი იყო ახალი საბაკალავრო პროგრამა. ვიზიტისას ექსპერტებს საშუალება მიეცათ, რომ შეხვედროდნენ ხელმძღვანელობას და ასევე ყველა იმ პირს, რომელიც უშუალოდ ჩართულებიი იყვნენ საბაკალავრო პროგრამის შექმნასა და შემდგომ განხორციელებაში. ვიზიტი განხორციელდა რამდენიმე კლინიკაში, როგორც ქართულ-ამერიკულ კლინიკაში, ასევე სახელმწიფო სამედიცინო დაწესეულებაში და სხვადასხვა ჰოსპიტლებში. ყველა ის აქტივები რაც კი გააჩნია უნივერსიტეტს, იქნება ეს საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა თუ ლაბორატორიები, ყველაფრის დათვალიერების შესაძლებლობა მიეცათ ექსპერტებს ვიზიტისას. ასევე, აღნიშნა რომ გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა იყო ახალი, მათ ვერ შეძლეს ინტერვიუს ჩატარება კურსდამთავრებულებისთვის, მაგრამ ინტერვიუები განხორციელდა სტუდენტებთან, რომელიც კავშირში იყვნენ მოცემულ სპეციალობასთან, რათა შესწავლილიყო ზოგადი ატმოსფერო დაწესებულებაში. ექსპერტებმა აღმოაჩინეს ვიზიტის განმავლობაში, რომ პროგრამა მთელი თავისი სტრუქტურით თუ სასწავლო პროგრამით იყო მდგრადი, ძალიან ძლიერი, როგორც აქტივობების, ასევე პროგრამის რესურსების და ხარისხის უზრუნვლყოფის კუთხით პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნიეს ასევე ლაბორატორიები, რომელიც გააჩნია უნივერსიტეტს, თუმცა რითაც ექსპერტები აღფრთოვანდნენ, იყო ჩართულობა, დამოკიდებულება, ადმინისტრაციისა რომელიც მათ გააჩნიათ პროგრამის განხორციელებაში, რაც ექსპერტების შეფასებით იყო ასევე ძალიან დიდი პლიუსი. საექთნო ბაკალავრის პროგრამა საქართველოში არის ახალი წამოწყება, შესაბამისად გამოცდილი ადამინების ყოლა და მათი ჩართულობა განსახორციელებლ საქმეში, იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრამის წარმატებულობას და ასევე აღნიშნა ექსპერტმა, რომ მოწადინებული და თავდადეული პერსონალი მრავლად იყო დაწესებულებაში. ასევე, განაცხადა მან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულების აფილირება კლინიკებთან, იყო მზადყოფნა აკადემიურიც და ტექნიკურიც, დამხმრე საშუალებებითაც. ხაზგასმით აღნიშნა ექსპერტთა თავმჯდომარემ, რომ დეფექტი იყო შეფასების სისტემაში არ არსებობდა ძლიერი შეფასების სისტემა, საგულისხმოა, რომ უნიერსიტეტში არსებობს მექანიზმი შეფასებისა, მაგრამ საჭირო იყო მდგრადი სისტემა, რომლითაც მოხდებოდა სტუდენტების მიღწევის შეფასება. ექსპერტებმა, მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში აღნიშნეს სწორედ ეს საკითხი, რომ შესაბამისობაშია სტანდარტთან მეხუთეს პირველი და მესამე კომპონენტები, ხოლო რაც მოითხოვდა გაუმჯობესებას ექსპერტებმა ასახეს დასკნაში და მიზეზებებიც დასახელეს. მან ასევე გამოთქვა მზაობა კითხვების არსებობის შემთხვევაში პასუხი გაეცათ მათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დასკნაში საუბარი იყო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ხარვეზთან დაკავშირებით, აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და მოქმედი პროგრამების შეფასების შემთხვევაში, არსებული მექანიზმი კარგად მუშაობდა. დაწესებულებაში არსებობს შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, გამოცდები, პორთფოლიო, პრაქტიკული დავალებები, სტუდენტთა გამოკითხვები, ყოველ სემესტრულად ტარდებოდა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ხდებოდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და ინსტიტუცია აღნიშნულის ანალიზს აკეთებდა და

შედეგებს, პროგრამის მრჩეველთა საბჭოებსა და ფაკულტეტთან ერთდა განიხილავდნენ, ხოლო შემდეგომ იგეგმებოდა განსახორციელებელი ღონისძიებები. გამომდინარე აქედან, აღნიშნა, რომ იგივე მოხდებოდა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაშიც და სწავლის შედეგების შეფასება მოხდებოდა და თუ კი რაიმე ნაკლოვანებები იქნებოდა მოხდებოდა მათი გათალისიწინება. ასევ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირეით აღნიშნა, რომ არსებული იყო საშუალო დონის სტუდენტზე გათვლილი და პროგრამის განხორციელების შემდეგ ეტაპობრივად გადაიხედებოდა და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი მოდიფიცირება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდებოდა არამარტო თეორიული შეფასების გზით, არამედ პაციენტის საწოლთან, სიმულაციურ ლაბორატორიაში, გამომდინარე აქედან, შეფასების სისტემა ძალიან გამჭირვალე იყო. ასევე აღნიშნა, რომ საექთნო საქმის სტუდენტები უპირველესად მათი კლინიკისათვის ესაჭიროებოდათ, შესაბამისად, წარმატებული კურსდამთავრებულები შესაძლებელია სამუშაოთ ყოფილიყვნენ მიწვეულები. ამადროულად, დაწესებულების მიერ ამერიკულ ჰოსპიტალთან ერთად ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ასევე საერთაშორისო ექსპერტები ესწრებოდნენ, დაწესებულების პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგი, ჩატარდა სიმულაციური თამაშები და ა.შ. რათა შესაბამისად მომზადებულიყვნენ პროფესორები პროგრამის განხორციელეისათვის. აღნიშნა მან, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები არ ჰყავს პროგრამას, დარგისა და პედაგოგების განვითარებაზე უწყვეტი მუშაობა მიმდინარეობდა. ასევე, გამოთქვა მზაობა კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხათ მათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე წევრებს და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისათვის, აღნიშნა, რომ რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან სწორედ შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, რაზედაც მათ მიერ გაიცა რეკომენდაცია. მან აღნიშნა რომ, შეფასების მექანიზმი დანერგილია დაწესებულებაში, თუმცა საუბარია, რომ თუ რა დონით გადიან საგნები პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგზე, ამ ნაწილში უფრო მეტად დაიხვეწოს არსებული მექანიზმი. შესაბამისად, მას აინტერესებდა, არსებული მექანიზმის დახვეწას რა დრო დასჭირდებოდა ექსპერტების მოსაზრებით.

ექსპერტთა თავმჯდომარემ 1.3. სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტები დასკვნაში საუბრობდნენ პროგრამის მიზნებზე და არა კურსის სასწავლო მიზნებსა და შედეგებზე. საუბარია იმაზე, რომ მხოლოდ პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს შეგროვება და ანალიზი იმისა, თუ რა შედეგები იდება სტუდენტების მიერ სხვადასხვა ასპექტში, საუბარია იმ 13-14 სასწავლო შედეგზე. ამ შემთხვევაში საუბარი არ იყო სტუდენტების შეფასებაზე, მაგრამ რა თქმა უნდა ფასდებოდა ეს კომპონენტიც, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ საქმეს სტუდენტები. ტრენინგების, წვრთნის განმავლობაში რა დონის მიღწევას ახერხებენ ამ თოთხმეტ სასწავლო შედეგთან მიმართებაში სტუდენტები, ანუ რა დონეს აღწევენ. ნამდვილად არსებობს დაწესებულებაში, შეფასების მექანიზმი გამოცდებთან ან სერვისებთან მიმართებაში. მაგალითად, სტუდენტმა კურსის განმავლობაში შეძლო და მიაღწია ,,A'' დონეს. ეს არის ერთგვარი შეჯამება მთელი კურსის განმავლობაში მის მიერ შესრულებული საქმიანობის, სწავლის. ამასთან აღნიშნა, რომ ეს ზუსტად არ ასახავდა რამდენად მიაღწია მან სასწავლო შედეგებს. ასევე განაცხადა, რომ არ იყო მარტივი სტანდარტი, მაგრამ ის საბჭომ დაადგინა, იგი მარტივი არ არის ბევრი სამედიცინო სკოლისა თუ უნივერსიტეტისათვის. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა, სიღრმისეულად ისაუბრეს ამასთან დაკავშირებით, როგორც დეკანთან ისე უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებთან და კიდევ ერთხელ მოხდა აღნიშნული საკითხის განმეორება როდესაც ექსპერტებმა გაიარეს ციფრული პლატფორმა განაცხადა მან.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა კითხვა, და აღნიშნა, რომ ვინაიდან რეკომენდაცია ეხებოდა არსებული სწავლის შედეგების მექანიზმის დახვეწას, ამ პროცესს რა

დრო დასჭირდებოდა. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებისაგანაც აინტერესებდა იგივე კითხვაზე პასუხი, ვინაიდან პროგრამა იყო ახლი, ამ ეტაპისათვის ჯერ კიდევ სწავლის შედეგების მიღწევაზე შეფასება არ განხორციელებულა, მარტივი იქნებოდა თავიდანვე სწავლის შედეგების მოდიფიცირება, დახვეწა თუ კი იქნებოდა ამის საჭიროება.

ექსპერტთა თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ აქცენტი უნდა გაკეთებულიყო არა ხანგრძლივობაზე თუ რა დრო იქნებოდა საჭირო, არამედ დონეზე, რამდენად შესაბამისობაში იქნებოდა შეფასების სისტემა. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ ხანგრძლივობა მაინც დამოკიდებული იყო, ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარებზე, რამდენად სწრაფად მოხდებოდა მონაცემების შეგროვება, ხოლო დიზაინის მოფიქრება და შექმნა, არც ეს იქნება ადვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრის კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ისედაც ახდენდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას პირდაპირ და არაპირდაპირი მეთოდებით. თუ კი ექსპერტები საუბრობდნენ იმაზე, რომ დაწესებულებამ სწავლის შედეგები ჩააშენა სწავლის პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც ვიზიტის დროს იყო ახალი ჩაშვებული, ხოლო მისი იმპლემენტაცია ამ სემესტრში უნდა განხორციელდეს, პროგრამა თანდათან იხვეწება და პროგრამის იმპლემენტაცია მოხდებოდა სემესტრის დასასრულს. დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება, შემდგომ განიხილავენ მრჩეველთა და ფაკულტეტის საბჭოზე, აღნიშნული იყო მუდმივი პროცესი პროგრამის განვითარებისათვის. ასევე, დააზუსტა რომ ერთი სემესტრის განმავლობაში იყო შესაძლებელი ელექტრონული სისტემის იმპლემენტაცია.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტთან, სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები დაწესებულების სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტს, სადაც აღწერილი იყო პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, როგორ ფასდება სწავლის შედეგები, რა დონით გადიან თითოეული სასწავლო კურსები სწავლის შედეგზე და შესაბამისად, მას აინტერესებდა დამატებით რა უნდა გააკეთოს დაწესებულებამ ამ მიმართულებით, კონკრეტულად, რადგან დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდებოდა, არაერთ პროგრამაზე არსებული სისტემით ხდება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების სისტემა, რომელიც ეხებოდა სტუდენტის მიღწევებს.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტის პოზიციას, რადგან წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეხებოდა არამხოლოდ სტუდენტის მიღწევებს, არამედ სწავლის შედეგების შეფასებას. ექსპერტი მოუწოდებდა წაკითხულიყო ანგარიშის ის კონკრეტული ნაწილი, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხს შეეხებოდა, რითაც ნათელი მოეფინებოდა საკითხს. ექპერტებმა გადახედეს როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, ასევე საგანმანათლებლო შეფასების პორტალსაც. ძალიან კარგად იყო შემუშავებული დოკუმენტი შეფასების სისტემისა, თუმცა გეგმაში იყო ასევე ისეთი საკითხი რომელსაც მცდარი გზით მიყავდა უნივერსიტეტი. ასევე აღნიშნა, რომ ეს არ იყო შეფასება სასწავლო შედეგების. არსებული სისტემა აფასებდა სტუდენტის მიერ მიღწეულ პროგრესს. რაც იყო ძალიან სასარგებლო და ეხმარებოდა უნივერსიტეტს, მაგრამ ეს არ იყო ის, რასაც სტანდარტი 1.3. მოითხოვდა.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი პროგრამა იყო წარმოდგენილი, მას რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა, როგორც ექსპერტებთან, ასევე დაწესებულებასთან. მას ინსტიტუციასთან ჰქონდა კითხვა ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ დოკუმენტებში არსებობდა ბაზრის კვლევის შედეგები, და მითითებული იყო რომ კვლევა განხორცილდა როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. შესაბამისად, მას აინტერესებდა რა შედეგები იქნა მიღებული კვლევისას რადგან წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა კვლევის კითხვარი და შედეგები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევა ჩატარებული იყო და კითხვარი შემუშავებული, ასევე აღნიშნა, რომ დეფიციტი იყო ექთნების, როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში. ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტულად კვლევის შედეგებს, საბჭოს მიმდინარეობის ეტაპზე გადაუგზავნიდნენ საბჭოს წევრებს რაკიღა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა იგი.
კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა საბჭოს წევრს წინაპირობებთან დაკავშირებით. რადგან წარმოდგენილი პროგრამა ინგლისურენოვანია, მას აინტერესებდა, როგორ იყო წინაპირობებში ასახული ინგლისური ენის ფლობის საკითხი, როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხოენოვანი სტუდენტები ჩაირიცხებიან იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელიც დადგენილი იყო მედიცინის პროგრამაზე და სტომატოლოგიაზე, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით პროგრამაზე მიიღებიან ქართველი სტუდენტებიც, როგორც სხვა დანარჩენ პროგრამებზე იყო მედიცინის მიმართულებით. ასევე, აღნიშნა რომ საგამოცდო ცენტრი მუშაობდა უცხოელების ენობრივი კომპეტენციის შემოწმებაზე, ხოლო ქართველებთან დაკავშირებით ეროვნული გამოცდების ზღვარი არსებობდა გარკვეული პროცენტით რომელიც უნდა დაძლიოს აბიტურიენტმა იმისათვის, რომ ჩაირიცხოს პროგრამაზე. უცხოელებთან მიმართებაში დაწესებულება მოითხოვს B1 დონის ცოდნას, ასევე აღნიშნა რომ მედიცინის პროგრამაზე იყო “for healthcare professional” ორი არჩევითი სასწავლო კურსი, თუ კი საჭიროება ექნებათ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ და გაიძლიერონ უცხო ენის კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დააზუსტა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურად იყო გაწერილი, რომ შესაძლებელია თავად სტუდენტმა წარმოადგინოს შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, წინააღმდეგ შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფდა გამოცდის ჩატარებას, რათა დაადასტუროს ენის კომპეტენცია და ეს საგამოცდო სისტემა ადაპტირებული იყო დაწესებულებაში.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ექთანი მულტიფუნქციური გუნდის ძალიან მნიშვნელოვანი და შეუცვლელი წარმომადგენელია, შესაბამისად მას დაწესებულებისაგან აინტერესებდა როგორ იქნებოდა ამ თვალსაზრისით, მისი ფუნქციის კარგად ათვისებისა და იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში რომელიც მის საქმიანობაში დასჭირდება სტუდენტს. რაზედაც, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშობისას არ იყო მკვეთრად ჩამოყალიბებული დარგობრივი დოკუმენტი, რის პროცესშიც იყო მწვავე დისკუსია იმასთან დაკავშირებით თუ სად გადიოდა ზღვარი ექთნის პროფესიისა რა დონეზე უნდა სცოდნოდა ექთანს კონკრეტული საკითხები, დისკუსიაში ჩართულები იყვნენ როგორც საექთნო საქმის ასოციაციის წევრები, ასევე მედიცინიდან ექიმები, შესაბამისად სწორედ ამგვარი მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდა წარმოდგენილი პროგრამა. შესაბამისად, მიაჩნია პროგრამის ხელმძღვანელს, რომ მოცემული პროგრამით, ნამდვილად შესძენდნენ ღირსეულ წევრებს შრომის ბაზარს. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის საგნის განმახორციელებლები იქნებოდნენ არა მხოლოდ ექიმები, არამედ თავად ექთნები იქნებოდნენ ჩართულები სასწავლო პროგრამაში.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია პროგრამაში ობიექტურად სტრუქტურირებული, კლინიკური გამოცდა არსებობდა პროგრამაში, მას აინტერესებდა რამდენად იყო დატრენინგებული ის პირები ვინსაც უნდა განეხორციელებინათ პროგრამა. რაზედაც, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაუმართლათ და სწორედ ის კონფერენცია, რომელიც ჩატარდა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტსა და თბილისი ამერიკულ ჰოსპიტალს შორის იყო კარგი საფუძველი, დაწესებულებას ჰყავდა მოწვეული ლექტორი, რომელიც დაეხმარებოდა პროგრამას, რომელიც ასევე მოახდენდა შეფასებას. ასევე აღნიშნა, რომ უკვე მრავალი წელია ტარდებოდა შესაბამისი გამოცდები კლინიკური ტიპის, და მოწვეული სპეციალისტები, მათ შორის უცხოელებიც ჩართულები იყვნენ ამ საკითხში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:12

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა გადაწყვეტილება, კერძოდ 1.3 კომპონენტი ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რამაც გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

რეკომენდაციად განისაზღვრა:
რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს და დანერგოს სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების სისტემა.

რჩევად განისაზღვრა:
სასურველია, თვითშეფასების ანგარიში მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის დეტალურ აღწერილობას, ანალიზს და შეფასებას ყველა აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება:
დაწყების დრო 15:14
დასრულების დრო 15:30

საბჭოს სხდომაზე მეორე საკითხად განიხილება: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა სამივე საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა პოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

საერთაშორისო ექსპერტი, არმანდ ფაგანელი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, აღნიშნა რომ ვიზიტი განხორციელდა 3 და 4 ოქტომბერს, ექსპერტებმა შეაფასეს ორი პროგრამა ერთი საბაკალავრო და მეორე სამაგისტრო. ორივე პროგრამა აკმაყოფილებდა, 1,2,3,4, სტანდარტს. ორივე პროგრამა არსებითად ასევე შეესაბამებოდა მეხუთე სტანდარტს. რაც შეეხება შეხვედრებს მთელი პროცედურა შეხვედრებისა სასიამოვნოდ წარიმართა, სხვადასხავ დანტერესებულ მხარეებთან. ხაზი გაუსვა ექსპერტმა კოორდინატორების მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან საქმეებს და ასევე ექსპერტების ჯგუფის მაღალკვალიფიციურობაზე მიუთითა. განსაკუთრებული მადლობა და პატივისცემა გამოხატა სტუდენტ ექსპერტთან მიმართებით. აღნიშნა, რომ პროფესიის განვითარებაზე ადეკვატურად მუშაობდა დაწესებულება, ხდებოდა განახლება სასწავლო პროგრამების, ასევე ჩართული მხარეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები განახლებების შესახებ. განაცხადა, რომ ინდუსტრია ძალიან დიდ მხარდაჭერას უცხადებდა სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. სამაგალითო იყო მათი თანამშრომლობა საერთაშორისო მხარესთან, უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები სწორედ ამ მხრივ ვითარდებოდა. თუმცა, სამეცნიერო კვლევის სფერო გასაუმჯობესებელი იყო. ასევე, აღნიშნა პროფესორების კმაყოფილება სასწავლებლის მიმართ, ასევე თვალსაჩინო იყო ბმა პროფესიონალებთან ამ მიმართულებაში. ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ სახეზეა პროფესიონალების ჩართულობა. აღნიშნა, რომ ხარისხის კულტურა არ აის ჩამოყალიბებული ჯერ მყარად, განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. რაც შეეხება სწავლების შეფასების მეთოდებს, როგორც ექსპერტებმა დაინახეს სათანადოა, მასწავლებლები იყენებენ ინოვაციურ, მოქნილ სწავლების მეთოდებს. ასევე აღნიშნა, რომ თუ კი იქნება უფრო მეტად თანამდეროვე ტექნოლოგიები გამოყენებული ეს კიდევ უფრო დიდი წარმატებას შეუწყობს ხელს. და ასევე რეკომენდებულია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. მატერიალური პირობები არის კარგი, ასევე, პოზიტიური შეფასება აქვთ ჩართულ მხარეებს. აღნიშნა ექსპერტმა რომ ჩართულები არიან ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ასევე,

უნდა გაგრძელდეს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების განახლება. რაც შეეხება სასწავლო პროგრამებს, აღნიშნა რომ იყო შეუსაბამობები, ლიტერატურასა და სათაურებს შორის, მაგრამ უნივერისტეტის მხრიდან უკვე განხორციელდა. რაც შეეხება ბალანს რაოდენობრივ და ხარისხობრივ სწავლებას შორის, ბალანსი უნდა დამყარდეს სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე უნდა შენარჩუნდეს დიდი სურვილი სამაგისტრო ნაშრომების მიმართ, სათანადო სამეცნიერო სტანდარტები გათვალისწინებასთან დაკავშრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ნათია გოცაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო კოლეგიალური, კონსტრუქციული თანამშრომლობითი რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. ასევე აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ძალიან ღირებული უნივერსიტეტისათვის და იმი ემსახურება მხოლოდ დაწესებულებისა და მათ პროგრამების განვითარებას. პერსონალის განვითარება დაწესებულებაში არის ძლიერი, სხვადასხვა პროფესიული თ სამეცნიერო მიმართულებით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ორი ტრენინგ ცენტრი, ალტებრიჯის ტრენინგ ცენტრი და ინოვაციური განათლების ტრენინგ ცენტრი, რომელიც ემსახურება, აკადემიური, მოწვეული ლექტორებისა და სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. რჩევებში არაერთგზის იყო მითითებული, რომ სასურველია პროფესორებს მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს პროექტების განხორციელებისათვის და მათ პროფესიულ საქმიანობაში, ამასთან დაკავშირებით რომ სწორედ ეს საკითხი, დაწესებულების მხარდაჭერა, სხვა პროგრამებთან მიმართებით არაერთგზის დასახელდა საუკეთესო პრაქტიკად დაწესებულების დამოკიდებულება პერსონალის განვითარებაში, მათ შორს ბიზნესის პროგრამის შეფასებისას. რაც შეეხება სამეცნიერო კვლევით პროექტების განვითარების კუთხით დაწესებულების აქტივობას, იყო გაცემული რამდენიმე რჩევა ექსპერტების მიერ. ამასთან დაკავშირებით დაწესებულები წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორის ორგანიზაციებთან, არ არსებობს გამოცხადებული საგრანტო პროექტი, რომელშიც აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს არ ეწოდება ინფორმაცია ინსტიტუციის მხრიდან, ასევე ერთობლივად ხდება პროექტები შეტანა, მათ შორის მიდინარე ორი დაფინანსებული საგრანტო პროექტი რომელშიც აკადემიური პერსონალია ჩართული, ასევე ინსტიტუციას აქვს შიდა საგრანტო პროექტების კონკურსები, როლის ფარგლებში სამი პროექტი ხორციელდება მიმდინარე ეტაპზე დაწესებულების აკადემიური პერსონალის მხრიდან. აღნიშნულ საკითხში ასევე ჩართული სტუდენტები, რაც დასკვნითაც არის გათვალისწინებული. არაერთხელ ჩატარდა მოწვეული სპეციალისტების მიერ ტრენინგები საგრანტო პროექტის დაწერის, აპლიკაციის შევსებისა და მსგავსი ტიპის მხარდაჭერის მიზნით, აღნიშნული ტრენინგები ტარდება არამხოლოდ პერსონალისთვის არამედ იმ სტუდენტებისთვის რომლებიც არიან დაინტერესებულის მსგავსი ტიპის აქტივობებით. ასევე აღნიშნა, რომ ფსიქოლოგია, მართვა და კომუნიკაცია, არის ერთგვარი საქმიანობის მიზანი, მუდმივად ამ მიმართულებებს ერგება ყველა აქტივობა დაწესებულებისა, რომელშიც მთლიანად არის ჩართული პერსონალი და სტუდენტები. ერთ-ერთ ძლიერი მხარე არის დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. აღნიშნა, რომ დაწესებულების აკადემიური გუნდის ძალიან დიდი ნაწილი თავად არის დამსაქმებელი. რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას და მათ გააქტიურებას სამეცნიერო საქმიანობის კითხით, გარდა იმ ყველაფრისა რაც მითითებული იყო უნივერისიტეტის მიერ დაინერგა ერთგვარი ოთხი ხიდის სისტემა, რომელთა მიხედვითაც ის მიმართულებები რომელიც არის უნივერისტეტში ჯგუფებად დაყოფილმა სტუდენტებმა უნდა განავითარონ, გარე აქტივობებით. აკადემიური განვითარება, სადაც კვლევითი პროექტები თუ აკადემიური კუთხით სტუდენტების წახალისება არის ის ქულების სისტემა, რომელიც უნივერსიტეტმა

დანერგა. ამ პერიოდში გამოცხადებულია გამოყენებითი კვლევის პროექტი, სტუდენტები აქტიურები არიან რომ ჩაერთო ამ პროექტში რათა იციან რომ ამ კუთხით ისინი მიიღებენ, გარკვეულ ქულებს, საბოლოო ჯამში აისახება შეფასებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციის სახით იყო გაცემული, რომ ვებ-გვერდზე განახლებულიყო ინგლისურენოვანი დოკუმენტაცია, რასაც დაეთანხმა დაწესებულება და ამ დროისათვის უკვე შესრულებულია. ასევე, რეკომენდაციებისა და რჩევების უდიდესი ნაწილი მყისიერად იყო გათვალისწინებული და გასწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე მიესალმა დამსწრე პირებს. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან დაკავშირებით მას ჰქონდა კითხვა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში არ იყო სასწავლო კურსი ,,სტრატეგიული მენეჯმენტი'', ახალი დარგობრივი სტანდარტით, სტრატეგიული მენეჯმენტი ბიზნეს ადმინისტრირების ყველა პროგრამებისათვის ხდებოდა სავალდებულო, პროგრამაში მოცემული იყო ,,ბიზნეს სტრატეგიები'', რომელიც ვერ ფარავდა მთლიანად სტრატეგიულ მენეჯმენტს და მას აინტერესებდა ამ ყოველივეს დაფარვას როგორ მოახდენდა დაწესებულება.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ლიტერატურიდან და შინაარსიდან გამომდინარე რომელსაც ითვალისწინებდა პროგრამაში გათვალისწინებული საგანები, მთლიანად იფარებოდა ,,სტრატეგიული მენეჯმენტის'' საგნის მოთხოვნებს. წინაპირობა აღნიშნული საგნისა იყო მენეჯმენტის საფუძვლები, ის რომელიც ასევე გათვალისწინებული იყო სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობად.

საბჭოს წევრმა ურჩია, რომ გაეთვალისწინებინათ აღნიშნული რჩევა სამომავლოდ, რადგან თავად დაწესებულებას არ ჰქონდა დიდ ხნიანი არსებობის ისტორია და პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის იქნებოდა აუცილებელი. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ზოგადად პროგრამა იყო ძალიან კარგი, ,,სტრატეგიული მართვა'' ამგვარი სასწავლო კურსი იყო პროგრამაში, რომლის ლიტერატურაში მითითებული იყო ბ. რამიშვილის სალექციო კურსი რომელიც 2013 წლის გამოცემის იყო, შესაბამისად სამაგისტრო დონეზე, აღნიშნული ლიტერატურა მოძველებულია, განაცხადა მან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაცია იყო ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის'' მაგისტრი, დაწესებულებისათვის სტრატეგიული მართვის სასწავლო კურსი, ჩასმული იყო მხოლოდ იმ თავლსაზრისით რომ სტუდენტებს ჰქონოდათ სრული წარმოდგენა თუ როგორ ხდებოდა, გენერალური მენეჯმენტი, ორგანიზაციას, იქნება ეს ბიზნეს სტრუქტურა თუ ა.შ. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იყო ეს ხარვეზი და ამ ეტაპისათვის უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მისი კითხვა შეეხებოდა მინიმალურ ქულებს, რომელიც მოეთხოვებოდა სტუდენტს სასწავლო კურსები გავლისას, შუალედური სამოცი ქულიდან 18 იყო მინიმალური ზღვარი, და 40 ქულიანი გამოცდიდან 12 ქულა და ხომ არ გადახედავდა დაწესებულება ამ მიმართულებითაც, რადგან მიაჩნია საბჭოს წევრს რომ მოცემული ზღვრები საკმაოდ დაბალი იყო. მეორე საკითხი ეხებოდა, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების სილაბუსებსა და დებულებებს, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების ნაწილში, როგორ უნდა დაიწეროს ნაშრომი, რადგან შესავალ ნაწილში არ ჩანდა წყაროების კრიტიკული მიმოხილვა, რაც სამაგისტრო ნაშრომში აუცილებლად უნდა იყოს, ასევე უნდა იყოს დახასიათებული რა მეთოდოლოგიას იყენებს სტუდენტი ნაშრომის შესრულებისას, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე ინსტრუქციაში იქნეს ყურადღება გამახვილებული, აღნიშნა მან ასევე, საბაკალავრო პროგრამაში გვხვდებოდა წყაროების მიმოხილვის ნაწილი, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრს და მიიჩნევდა, რომ უფრო მეტი დეტალიზება იყოს საჭირო, თუმცა, აღნიშნა, რომ თავად ნაშრომებში წყაროების კრიტიკული

ანალიზი კეთდებოდა და ფაქტობრივად ეს იყო მათი მოთხოვნა. ასევე, განიმარტა, რომ სასწავლო კურსს ,,აკადემიურ წერა''-ში სტუდენტები, სწორედ ნაშრომის შესრულების სპეციფიკას სწავლობენ. ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხდებოდა სტუდენტებთან შეხვედრა, ნაშრომზე მუშაობის დაწყებისა და პუნქტების მიხედვით კონკრეტულ მინიშნებების მიცემა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ქულით შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რადგანაც დოკუმენტურად არ იყო კონკრეტულად განსაზღვრული მინიმალური ზღვარი, შესაბამისად დაწესებულება აკადემიურ პერსონალს აძლევდა თავისუფლებას თავიანთი შეხედულების მიხედვით განესაზღვრათ გამოცდების შიდა ზღვრები და შეექმნათ თავიანთი სილაბუსები, თუმცა საბჭოს წევრის რჩევა იქნებოდა გათვალისწინებული და კიდევ ერთხელ მოხდებოდა აკადემიურ პერსონალთან აღნიშნული საკითხის გავლა რომ შეძლებისდაგვარად აღნიშნული საკითხის გათვალისწინება მომხდარიყო.
საბჭოს წერ თამარ ტუფინაშვილს რამდენიმე კითხვა ჰქონდა როგორც ინსტიტუციასთან ასევე ექსპერტებთან, მისი კითხვა შეეხებოდა ინგლისურენოვან ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას. მას აინტერესებდა იყო თუ არა განსხვავებული წინაპირობები უცხოელი და ქართველი სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ,,B2'' დონის ცოდნა იყო აუცილებელი იმისთვის, რომ სტუდენტს მიეღო დაშვება სასწავლო პროგრამაზე.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სასწავლო დონე ცალსახად იყო ,,B1'', ამიტომ ეს საკითხიც რომ ყოფილიყო გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მიღების წინაპირობად დაწესებულებას ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შემდგომ ჰქონდა ტესტირება, რითაც ხდებოდა სასურველი დონის შეფასება. ერთ შემთხვევაში სტუდენტს ჰქონდა სერტიფიკატი ,,B2'' დონის დამადასტურებელი და მეორე, როდესაც თავად დაწესებულება ადგენდა ინგლისური ენის დონეს.
საბჭოს წევრს კითხვა ჰქონდა ასევე კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამაზე. აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კურიკულუმის რუკაში ჩანდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება, საბაკალავრო პროგრამის კურუკულუმის რუკაში შედეგების განვითარების თანმიმდევრულობა მისი მოსაზრებით იქნებოდა გადასახედი, გამომდინარე იქედან რომ გარკვეული შედეგები, მაგალითად შედეგი მესამე, მეექვსე იწყებოდა გაღრმავებით. გარდა ამისა, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი რა როლს ასრულებს არ ჩანდა. რაც შეეხება კურიკულუმის რუკას სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც გადასახედი იყო, რადგან გარკვეული შედეგები გაღრმავებით იწყებოდა. შედეგების შეფასება კარგად იყო წარმოდგენილი და დაწესებულებას გააზრებული აქვს თითოეული შედეგი, რომელი შეფასების მეთოდით უნდა შეფასდეს, თუმცა ბუნდოვანია სამიზნე ნიშნულები, თუ რა დროს ითვლება შედეგი მიღწეული, აღნიშნა საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურიკულუმის რუკები გააზრებულია მათ მიერ, თუმცა გადახედვას ექვემდებარებოდა ყველაფერი, რადგან საკითხი შეეხებოდა ახალ პროგრამას. საბაკალავრო ნაშრომი იყო განმტკიცების ნაწილი, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის თითოეული შედეგი გადიოდა სამივე შედეგზე, გაცნობა, განმტკიცება, გაღრმავება. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მეთოდოლოგიაში დეტალურად იყო ახსნილი, კერძოდ მეხუთე დანართში და მითითებული იყო სამიზნე ნიშნულების გაზომვაზე პასუხისმგებელი პირი.. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა ეს საკითხი და დადებითი უკუკავშირი იყო მათი მხრიდან. თამარ ტუფინაშვილს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელთან. მას აინტერესებდა, როგორ მიაჩნდა მათ, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ყველა გავიდოდა თუ არა ერთნაირ შედეგზე, მიუხედავად იმისა, საბაკალავრო ნაშრომს აირჩევდნენ თუ პრაქტიკას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამწლიან საბაკალავრო პროგრამაში ძირითად არჩევით საგანთა ჩამონათვალში იყო საბაკალავრო პროგრამა ან პრაქტიკუმი, შესაბამისად, სტუდენტის სურვილის მიხედვით ხდებოდა არჩევა, რომლითაც არ იცვლებოდა პროგრამის შექმნის მიზანი და შედეგი. ასევე აღნიშნეს, რომ არსებული დარგობრივი დოკუმენტი ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.
საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით. მაგალითად ადამიანური რესურსების მართვის კურსი, საბაკალავრო პროგრამაშია წარმოდგენილი, რომლის წინაპირობად განსაზღვრულია მარკეტინგის საფუძვლები, შესაბამისად აინტერესებდა მათი ურთიერთმიმართება. რაზედაც, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები ისეთი როგორიც არის მაგალითად, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, საბაკალავრო საფეხურზე გაღრმავებით იწყებოდა და ამისათვის რომ მიექცია დაწესებულებას ყურადღება. ასევე, ექსპერტებთან ჰქონდა კითხვა საბჭოს წევრს სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ ერთ-ეთ რეკომენდაციით გათვალისწინებული იყო რეცენზენტების დასკვნის არსებობა, შესაბამისად მას აინტერესებდა, რით იყო არგუმენტირებული ეს რეკომენდაცია.
რაზედაც ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას დადგინდა, რომ მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე თვითშეფასებას კრიტერიუმი იყო რეცენზენტის შეფასებასთან დაკავშირებით გამომცდელის პასუხები, რეცენზიები წინასწარ არ ეგზავნებოდათ სტუდენტებს, რაც ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ დროის მოკლე მონაკვეთში სტუდენტი ვერ შესძლებდა ადეკვატურად პასუხის გაცემას რეცენზენტის ყველა შენიშვნაზე და რეკომენდაციაც იმგვარად ფორმულირდა, რომ უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომების დაცვას დროში წინ უსწრებდეს რეცენზიის შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა აღნიშნული საკითხი, რომ სტუდენტებს ნაშრომებზე მუშობის დაწყებისას ეგზავნებათ პროცედურები და ეტაპები, რაც შეეხება ნაშრომის რეცენზირებას, ეს ხდება პლაგიატის შემოწმების შემდეგომ, იგზავნება რეცენზიაზე და შემდგომ ხდება დაცვა რამდენიმე დღით ადრე ეგზავნებათ სტუდენტებს რეცენზიის შედეგები. დაწესებულებამ გაიზიარა გაცემული რეკომენდაცია და ეხლა უკვე დაგეგმილია, რომ დეტალურად იქნას დამატებით მიწოდებული ყველა ინფორმაცია სტუდენტებისათვის და რეცენზიის შედეგების მიწოდებაც დროში უფრო მოქნილი გახდეს. ასევე წინა კითხვასთან მიმართებით აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა რომ საფუძვლები, რომელი საგნისაც არ უნდა იყოს იგი ვერ იქნება გაღრმავების ნაწილში, ეს არის გაცნობის ნაწილი.
პროგრამის სტრუქტურა ისე არის აგებული რომ გაცნობიდან მიდის განმტკიცებისაკენ და შემდგომ გაღრმავებისაკენ, თუ კი სადმე იყო აღნიშნულის აღრევა დაწესებულება ამ მოცემულობას გაითვალისწინებდა, განაცხადა დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია გოცაძემ.
საბჭოს თავმჯდომარეს დამაზუსტებლი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ ერთ-ერთ სასწავლო კურსში ,,პროექტის მენეჯმენტში'' გასაუბრების დროს გაირკვა რომ სტუდენტებს უნდა წარმოდგინა ჯგუფური პროექტი და ვერც სტუდენტებმა და ვერც პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ ახსნა როგორ ფასდებოდა სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი, ამ მიგნების საპასუხოდ არ იყო არც რჩევა და არც რეკომენდაცია გაცემული თუ როგორ შეიძლება გასწორდეს შეფასების მექანიზმის ეს პრობლემა. თითქმის ყველა რეკომენდაცია მიმართულია მეხუთე სტანდარტზე, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე და ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ ,,რეკომენდირებულია პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკების დეტალურად გაწერა, ასევე მიუთითოს სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში'',

შესაბამისად მას აინტერესებდა, ეს რეკომენდაცია რამდენად იყო ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაცია, იგი ხომ არ იყო პირველი სტანდარტის კონკრეტულად 1.3. და 1.5. სტანდარტის რეკომენდაციები.
ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარეს და გაცემული რეკომენდაცია შესაძლებელი ყოფილიყო პირველ სტანდარტში აღნიშნული. ერთობლივ დოკუმენტზე მუშაობისას რადგანაც კონკრეტული რეკომენდაცია არ იყო აღნიშნული პირველ სტანდარტში, ამიტომაც აღინიშნა მეხუთე სტანდარტში, როგორც ხარისხის კუთხით. ასევე აღნიშნა მან, რომ არსებული ხარვეზის პრევენცია ასევე შეიძლებოდა დაწესებულების შიგნითაც, თუ კი საბჭო მიიჩნევდა რომ უმჯობესი იქნებოდა პირველ სტანდარტში ყოფილიყო აღნიშნული, ექსპერტები ამაში ვერ ხედავენ დაბრკოლებას. ასევე დააზუსტა, რომ უფრო ხარისხის სამსახურის რეკომენდაცია იყო აღნიშნული, რადგან შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით ბევრი გამოწვევის ადგილზევე გამოსწორება იყო შესაძლებელი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ არ სურდათ დაეძალებინათ თუმცა ხშირად გამოსავალი ამ სიტუაციიდან იყო ერთმანეთის შეფასება ანუ სტუდენტი აფასებს სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული საკითხის პრევენცია ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დავის საგანია რომელ სტანდარტში შეიძლება იყოს აღნიშნული რეკომენდაცია პროექტის მენეჯმენტთან დაკავშირებით პირველ სტანდარტის ნარატივშიც იყო მითითება გაკეთებული სწორედ ამ საგანზე, ინსტიტუციის მოსაზრებით ორჯერ იყო გაწერილი შესაბამისად, ბოლო სტანდარტიდან რომ ყოფილიყო ამოღებული, კარგი იქნებოდა. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, რეკომენდაციის სახით არა იყო გაწერილი ორჯერ, არამედ ნარატივში იყო აღწერილი. ასევე აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ იზიარებდნენ აღნიშნულ რეკომენდაციას და ცვლილება უკვე შესული იყო და საკითხი გამოსწორებული

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:33
დასრულები სდრო: 17:20

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა გადაწყვეტილება, კერძოდ ორივე პროგრამასთან მიმართებით 1.3 და 1.4 კომპონენტი ნაცვლად “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა, როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, რამაც გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განისაზღვრა, როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”.

რეკომენდაციებად განისაზღვრა:
კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში.
- რეკომენდებულია სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა რეგულარულად გადამოწმდეს ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მჭიდროდ ითანამშრომლოს პერსონალის ყველა რგოლთან, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის შესახებ ინტენსიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარების გზით.

კლასტერული რჩევები:

- სტუდენტების აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის წასახალისებლად, სასურველია სტიპენდიის მოპოვების კრიტერიუმებში გათვალისწინებულ იქნას აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა.
- სასურველია დაწესებულებამ შეისწავლოს ზეპირი გამოცდის კომპონენტის გასაჩივრების მოქმედი მექანიზმის განხორციელების პრაქტიკა და გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
- სასურველია წარმოდგენილი პროგრამების კომპლექსური გადახედვა იმ კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებისთვის, სადაც ელექტრონული სწავლება ყველაზე ეფექტურად შეიძლება იქნას ინტეგრირებული, მოქმედი კანონმდებლობით საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების საფეხურისთვის დადგენილი კრედიტების ლიმიტების გათვალისწინებით.

“ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მიზნით სტრუქტურაში დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომის და პროფესიული პრაქტიკის სტატუსები.
- რეკომენდებულია, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკების დეტალურად გაწერა, ასევე მიუთითოს, თუ როგორ ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკისა და შეფასების ანგარიშების შემუშავება უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

“ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის რჩევები:

- სასურველია დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა როგორც ქართველი ისე უცხოელი სტუდენტებისათვის.
- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში დაემატოს სტრატეგიული მენეჯმენტის სასწავლო კურსი.

“სტრატეგიული კომუნიკაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს და წაახალისოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების სამეცნიერო პროდუქტიულობა, განსაკუთრებით კვლევების დაფინანსების მოზიდვა გარე, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ასევე უნდა გაუწიონ სტუდენტებს ხელმძღვანელობა ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების მიერ გამოცხადებული კვლევითი საგრანტო პროექტების მომზადებაში.
- რეკომენდებულია ვებგვერდზე სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტების ინგლისურენოვანი ვერსიების განახლებაც, რათა ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს განახლებული ინფორმაცია.

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის სათანადოდ მომზადების მიზნით, სტუდენტებმა მიიღონ რეცენზენტის დასკვნა მათი ნაშრომის შეფასების შესახებ.
- რეკომენდებულია, სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავდეს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იქნას მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასება.

"სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რჩევები:

- სასურველია სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაში გადაიხდესო სტრატეგიული მართვის სასწავლო კურსი რათა იყოს სწავლების საფეხურის შესაბამისი.
- სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს წვდომა ისეთ ელექტრონულ ბაზებზე, როგორიცაა Elsevier, Scopus და ScienceDirect, ვინაიდან საბიბლიოთეკო რესურსებში შეზღუდულია წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალებთან. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის კვლევით შესაძლებლობებსა და წვდომას თანამედროვე ცოდნაზე.
- სასურველია განხორციელდეს მიზნობრივი ინიციატივები მაგისტრანტების მხარდასაჭერად საგრანტო წინადადებების მომზადებისა და განაცხადების წარდგენის პროცესში. ეს შეიძლება მოიცავდეს სტრუქტურირებულ სემინარებს საგრანტო წინადადებების წერის შესახებ და პროგრამის კურიკულუმში საგრანტო წინადადებების შემუშავების კომპონენტის ჩართვას.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება
კი

დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა განაცხადეს თვითაცილება დაწესებულებასთან გაფორმებული სამუშაო ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ინსტიტუციის წარმომადგენლებს მიმართა, რომ დაედასტურებინათ, იცნობდნენ თუ არა საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი ბალინტ ქადარი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს. ის იყო ექსპერტთა ჯგუფის პრეზიდენტი ასევე ჯგუფი შედგებოდა ქართველი ექსპერტებისგანაც და მისი თქმით ის ძირითადად დამოკიდებული იყო მათ ენობრივ უნარებზე, ვინაიდან ის ქართულ ენას არ ფლობს. მისი თქმით ქართულენოვანი არქიტექტურის პროგრამა დიდ წილად დაშენებული იყო ინგლისურენოვან უკვე მოქმედ პროგრამაზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ მოეწონათ ის მიდგომა, რომელიც ჰქონდა უნივერსიტეტს მოცემული პროგრამის მიმართ, რადგან ის დაფუძნებული იყო გამოცდილებაზე, ცოდნასა და უნარებზე. მისი თქმით ექსპერტებს ასევე მიეცათ შესაძლებლობა, რომ შეეფასებინათ პროგრამის ბიუჯეტი, სასწავლო პროგრამები, გამოცდილება, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორებისგან და რადგანაც მოცემული პროგრამა დაშენებული იყო ძველ ინგლისურენოვან პროგრამაზე, მათი რეკომენდაციები იყო უფრო ზოგადი ხასიათის.
ექსპერტის თქმით, პროგრამა ძირითადად იყო შესაბამისობაში, თუმცა მაინც იყო რაღაც შეუსაბამობები. მისი თქმით უნივერსიტეტი არის მზად, რომ დაიწყოს პროგრამის სწავლება, თუმცა მაინც იყო რაღაც დეტალები გადასააზრებელი.
ექსპერტის თქმით, პროგრამა შეესაბამებოდა სტანდარტებს და მათ შორის რესურსების მხრივ (ადამიანურ რესურსები). თუმცა მისი თქმით პროგრამაზე ასწავლიან მხოლოდ ლექტორები და არ ასწავლიან საკმარისი რაოდენობით ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორები, შესაბამისად ყველაფერი დამოკიდებულია პროფესორებზე, აქედან გამომდინარე მისი თქმით არ არიან წარმოდგენილნი პერსონალი საკმარისი რაოდენობით. იგი აღნიშნავს, რომ მოცემული წარმოადგენს სირთულეს, რადგან მაგალითად „არქიტექტურის დიზაინი“ საგანზე გაწერილი იყო, რამდენიმე პროფესორი თუმცა რეალურად მოცემულ საგანს ასწავლიდა ერთი და რადგან მოცემული პროგრამა წარმოადგენს პრაქტიკულ კურსს, მისი აზრით საჭირო იყო გაეყოთ ჯგუფი, რათა ყველა სტუდენტს დათმობოდა დრო ინდივიდუალურად. მისი თქმით ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ფინანსურ მხარესთან და საათობრივ დატვირთვასთან, თუმცა ხელახალ გადახედვას საჭიროებს აღნიშნული საკითხი.
ასევე, მისი თქმით რამდენიმე ძირეული პრობლემა გამოიკვეთა. პირველი ეხებოდა სწავლის შედეგებს, რადგან არ იყოს სათანადოდ და კარგად ორგანიზებული და რეკომენდებული იყო რომ მომხდარიყო მოცემული საკითხის გადახედვა და შეცვლა, რადგან დოკუმენტი იყო ქაოტურად დალაგებული.
მეორე საკითხი, რაც უნდა შეცვლილიყო, არის ის, რომ ბევრი სასწავლო კურსის პროგრამა იყო სტანდარტულად გაწერილი და ბევრ კურსზე იყო იდენტური, თუ რამდენი საათი უნდა დაეთმობოდა თეორიას, პრაქტიკულ და დამოუკიდებელ სამუშაოს. შესაბამისად ექსპერტის თქმით, მოცემულიც აუცილებლად შესაცვლელი იყო.
პირველ სტანდარტში ცდომილებას წარმოადგენდა ის, რომ დოკუმენტები არ იყო თანხვედრაში. მისი თქმით პირველ სტანდარტში არის 4 მიზანი გაწერილი, და ექსპერტებმა პრობლემა გამოავლინეს მეორე მიზანთან მიმართებით, რომელიც არის არქიტექტურის ისტორიის შესახებ ინფორმაციის თეორიულად მიწოდება, პროექტის კონცეფციების განხორციელებად და ურბანული დაგეგმვის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ექსპერტის თქმით, მოცემული კომპეტენციები იყო ერთმანეთში არეული მაგალითად ცოდნა, ტექნოლოგიები და ინჟინერია, რომელიც შემდეგ იყო შერეული ურბანული დაგეგმარების პროცესთან და არქიტექტურის ისტორიასთან. რაც შეეხება მესამე და მეოთხე მიზანს, ისინი იყო შესაბამისობაში. მოცემული იყო მხოლოდ, რჩევა ექსპერტებისგან, რომელიც დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა თუმცა იწვევდა მცირედ ქაოსს.
რაც შეეხება 1.2 რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სასწავლო შედეგებს, მოცემულში არეული იყო სხვადასხვა დისციპლინები. 1.1-ში დაწესებულებას სურდა, რომ ყოფილიყო შერწყმული ყველაფერი ერთმანეთში, თუმცა მისი თქმით მოცემულ რეკომენდაციაში დაუშვებელი იყო მსგავსი სახის შერწყმა, რადგან საქმე ჰქონდათ სწავლის შედეგებთან. რადგან მისი თქმით, სწავლის შედეგი არის ის, რაც უნდა დაწესებულებას, რომ საბოლოო ჯამში ასწავლოს

სტუდენტს შესაბამისად დაყოფილი უნდა ყოფილიყო სამეცნიერო სფეროები. შესაბამისად ისტორია და მართვა უნდა ყოფილიყო ერთმანეთისგან გამიჯნული. ასევე, ორგანიზაციული და ოპერაციული პროცესები უნდა იყოს გამოყოფილი ეთიკისგან და სამართლებრივი რეგულაციებისგან და ასევე ურბანული დაგეგმარება, როგორც კომპლექტი უნდა გამოიყოს შენობების დიზაინისაგან იმის მიუხედავად, რომ ორივე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ექსპერტმა დააზუსტა, რომ ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული, თუმცა აუცილებელი იყო, რომ ორივე ელემენტი დამოუკიდებლად ისწავლოს სტუდენტმა. მოცემული ელემენტების სწავლის შემდგომ უკვე შესაძლებელი იქნებოდა, რომ ამ ორი ელემენტის გაერთიანებული სასწავლო შედეგი დაემატოს, რომელიც უკვე ექსპერტის აზრით წარმოადგენდა სამაგისტრო დონის კომპეტენციას. მისი თქმით ბაკალავრზე სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ორივე ელემენტი ცალ-ცალკე. თუმცა მისი თქმით ეს იყო მხოლოდ რჩევები, რათა სტუდენტმა განივითარონ შესაბამისი უნარები. ასევე, ექსპერტებმა რჩევა მისცეს დაწესებულებას, რომ ხატვა და დიზაინი შეეტანათ, როგორც სწავლის შედეგი. მისი თქმით მართალი იყო, რომ დაწესებულება სტუდენტებს ასწავლიდა მოცემულს, თუმცა აუცილებელი იყო, რომ ის გაწერილი ყოფილიყო როგორც სწავლის შედეგი, რადგან მისი აზრით ეს იყო ისეთი უნარები, რომელსაც შემდგომ სტუდენტები იყენებენ პრაქტიკაში.

1.3 სტანდარტი ეხება სწავლის შედეგების შეფასებას. ექსპერტის თქმით მოცემულ სტანდარტში პრობლემა იყო დოკუმენტის დონეზე თუმცა აუცილებელი იყო, რომ გაემახვილებინათ ყურადღება. მისი თქმით დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იყო ცხრილი, რომელშიც სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა სასწავლო პროგრამებს. შესაბამისად რეკომენდაცია იყო, რომ დოკუმენტი გადაეხედა დაწესებულებას და პროგრამებისთვის მიესადაგებინა შესაბამისი სწავლის შედეგები. ასევე, მისი თქმით აუცილებელი იყო, რომ სილაბუსშიც შესაბამისად ყოფილიყო გაწერილი სწავლის შედეგები და მისი შეფასება. თუმცა ეს დარღვევები მხოლოდ დოკუმენტს დონეზე იყო შესაბამისად ამ სტანდარტებში იყო ნაწილობრივ შესაბამისობა.

1.4 სტანდარტი შეეხებოდა პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას. ექპერტის თქმით, ახლა არსებული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ვერ იძლეოდა გარანტიას, რომ მიღწეულ იქნებოდა შესაბამისი სწავლის შედეგი, რადგანაც 1.3-ში იყო შეუსაბამობები. შესაბამისად, მისი თქმით თუ დაწესებულება გამოასწორებდა 1.3-ში მოცემულ შენიშვნებს ამ შემთხვევაში 1.4 ავტომატურად იქნებოდა შესაბამისობაში.

ასევე, რჩევა ჰქონდა ექსპერტს 1.4 სტანდარტთან დაკავშირებით. მისი თქმით მოცემულ პროგრამაში იყო არჩევითი სავალდებულო 15 კრედიტი. თუმცა, ჯამში შეთავაზებული საგნები წარმოადგენდა 35 კრედიტს, მისი თქმით ეს შეესაბამებოდა სტანდარტს, თუმცა მოცემულ არჩევით ბლოკში გაერთიანებული სასწავლო კურსები მისი აზრით წარმოადგენდა მნიშვნელოვან საგნებს და რჩევა მისცა დაწესებულებას, რომ ეს საგნები გადაეტანათ სავალდებულო საგნებში.

საბოლოოდ, ექსპერტმა ისაუბრა 1.5 სტანდარტზე, რომელიც ეხებოდა პროგრამის სასწავლო კურსები, და კრედიტები თუ უზრუნველყოფდა შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას. ექსპერტის თქმით ყველა კურსის სილაბუსი იყო იდენტური საკონტაქტო და პრაქტიკული საათების ნაწილში. ყველა 5 კრედიტიან პროგრამაში გაწერილი იყო 46 საკონტაქტო საათი, 14 ლექცია და 14 პრაქტიკული. მისი თქმით არქიტექტურაზე ყველა საგანი საათობრივად ვერ იქნებოდა ასე შუაზე გაყოფილი. მაგალითად ხატვის საგანზე 14 ლექციის საათი და 14 პრაქტიკის საათი ვერ იქნებოდა შესაბამისი და სწავლის შედეგის მიღწევა ვერ მოხდებოდა. მისი თქმით ინგლისურ პროგრამაზე მოცემული საგანი ძირითადად იყო პრაქტიკულ საათებზე დაფუძნებული, შესაბამისად ამ პროგრამის შემთხვევაში სილაბუსეში საკონტაქტო საათები სწავლების მეთოდებთან შესაბამისობაში არ იყო სწორად გაწერილი. მისი თქმით, თეორიულ საგნებს უფრო დიდი საათები უნდა ჰქონოდათ თეორიული ნაწილისთვის და პრაქტიკულ საგნებს, პრაქტიკული სამუშაოსთვის. თუმცა, როცა საქმე ეხება მაგალითად, მათემატიკას ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ლექციები იყო მნიშვნელოვანი,არამედ, რამდენი საკონტაქტო საათი

ტარდებოდა, დამოუკიდებელ სამუშაოსთან შეფარდებით. რადგან 26 საათზე მეტი საკონტაქტო საათს თუ ვერ მიიღებდა სტუდენტი მას არ ექნებოდა საკმარისი ცოდნა 93 საათიანი დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. შესაბამისად, რეკომენდაციას წარმოადგენდა ის, რომ შეესწორებინათ სილაბუსში გაწერილი საკონტაქტო, სალექციო, პრაქტიკული და დამოუკიდებელი სამუშაოს საათები. ექსპერტის რჩევა იყო ის,რომ დაეწყოთ არსებული საათობრივი გადანაწილებით სწავლება და შემდგომ რეკომენდაციის მიხედვით სტუდენტებისა და ლექტორების უკუკავშირის შედეგად გადაენაწილებინათ საათები საჭიროებისამებრ. შესაბამისად, მისი თქმით დაწესებულებას რამდენიმე წელი დაჭირდება, რომ საათობრივი გადანაწილება მოეწესრიგებინათ, თუმცა არსებული გადანაწილებით ექსპერტი ფიქრობდა, რომ ვერ იქნებოდა სწავლის შედეგი მიღწეული.

2.1 სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა მიღების წინაპირობებს. მოცემულში ექსპერტებმა გასცეს 2 რეკომენდაცია. მათი თქმით, აუცილებელი იყო, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ღია და სამართლიანი კონკურსი, და ასევე აუცილებელი იყო, რომ სტუდენტებს კომისიის წინაშე შეძლებოდათ თავიანთი კრეატიული და დიზაინერული შესაძლებლობების სრულად წარმოდგენა. მაგალითად, ერთ-ერთი მისაღები წინაპირობა იყო, რომ სტუდენტს უნდა მოეტანა თავისი ნახაზი, რომლის რაღაც ნაწილიც უკვე კომისიის წინაშე ახლიდან უნდა დაეხაზა. შესაბამისად, მისი თქმით ისეთ აპლიკანტს, რომელმაც არ იცის ხაზვა, შეეძლო, რომ სხვას დაახაზვინოს ნამუშევარი და თავად მისი პატარა ნაწილის ხაზვა ისწავლოს, რომლის დახაზვის შემდეგაც მიიღებდნენ პროგრამაზე. შესაბამისად მოცემული გაწერილი იყო, როგორც რეკომენდაცია.

2.2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებმა გაიარეს სამიზნე ნიშნულები და საუკეთესო პრაქტიკები და მათი თქმით პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილებას. შესაბამისად ექსპერტის აზრით აუცილებელი იყო უფრო მეტი ინტერნაციონალიზაცია.

2.3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს უფრო მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. თუმცა ეს რეკომენდაციები პრაქტიკულად 1.5 სტანდარტზე გაცემული რეკომენდაციების ანალოგი იყო, რადგან მოცემულ სტანდარტში მთავარი კითხვა იყო თუ, რამდენად შეესაბამებოდა სწავლების მეთოდები და სასწავლო შედეგები. შესაბამისად, მისი თქმით აქაც მსგავსი შემთხვევა იყო, რომ 14 საათი არ იყო საკმარისი, რომ სტუდენტს აეთვისებინა შესაბამისი მასალა.

ასევე დიზაინის პროგრამაზე ექსპერტებმა გამოარკვიეს, რომ ლექტორები ყოფდნენ სტუდენტებს რამდენიმე პატარა ჯგუფად. შესაბამისად, მათი რეკომენდაცია იყო, რომ მოცემული პრაქტიკა გადაეტანათ სილაბუსში და აღნიშნული ყოფილიყო, რომ მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების დაყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად და რამდენი საათი ეთმობოდა თითოეულ ჯგუფს.

ექსპერტის თქმით, მოცემული რეკომენდაციები წარმოადგენდა ძირითად პრობლემურ საკითხებს, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები თუ რჩევები მხოლოდ მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისკენ, რათა უფრო ბევრი საერთაშორისო ლიტერატურა ყოფილიყო გამოყენებული და მეტი გასვლითი ვიზიტები დაგეგმილიყო.

2.4 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა განაცხადა, რომ სილაბუსში არ იყო მითითებული, თუ რა სახით ან რა კრიტერიუმებით ფასდებოდა შუალედური გამოცდა. შესაბამისად, რეკომენდაციაც ეხებოდა იმას, რომ აუცილებელი იყო დაკონკრეტებულიყო ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების ტიპი.

3.1 სტანდარტი შეეხებოდა სტუდენტთა სერვისებს. ექსპერტმა განაცხადა, რომ რაც მათ ნახეს იყო კარგი, თუმცა ასევე დაეყრდნენ სტუდენტთა შეფასებებს, რომლებმაც ექსპერტებს უთხრეს, რომ აუცილებელი იყო, რომ ადმინისტრაციას ჰქონოდა მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან. ასევე ექსპერტის თქმით, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ დაწესებულებას მეტი ყურადღება

უნდა მიექცია უცხოენოვან სტუდენტებისთვის, რათა მათ გამარტივებოდათ ინტეგრაცია. ასევე, მისი თქმით მართალია ქართულ ენოვან პროგრამისთვის ინტეგრირების პრობლემა არ იყო რელევანტური, თუმცა აუცილებლად ჩათვალეს, რომ შეეტანათ მოცემული რეკომენდაციებში.
4.1 სტანდარტი ეხება ადამიანურ რესურსებს, რომლის შესახებაც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ აუცილებელი იყო მეტი ასისტენტ-პროფესორები, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო პროგრამის მდგრადობა.
ასევე ექსპერტის თქმით აღმოაჩინეს ინტერვიუებიდან, რომ 10 კრედიტიან საგნებზე დოკუმენტში გაწერილი იყო ბევრი ადამიანური რესურსი, თუმცა სინამდვილეში საგანს ასწავლიდა მხოლოდ ერთი მასწავლებელი. შესაბამისად, რეკომენდაციის მიხედვით დაწესებულებას ექსპერტებმა შესთავაზეს, რომ დიდ კრედიტიან საგნებზე ჩაესვათ უფრო მეტი ადამიანური რესურსი. ასევე რჩევის სახით დაწესებულებას ურჩიეს, რომ აეყვანათ უფრო მეტი ასისტენტ-პროფესორი და დარგობრივი ლექტორები, რადგან რეალურად 24 ლექტორიდან, მხოლოდ 4 იყო დარგობრივი ექსპერტიზის მქონე.
რაც შეეხებოდა 4.3 სტანდარტს, პროფესიული უნარების განვითარებას, ნორმალური იყო, თუმცა რჩევა იყო, რომ დოკუმენტების დონეზე უფრო მოეწესრიგებინათ უნარების განვითარება და შეექმნათ ამის დამამტკიცებელი საბუთები.
დაწესებულება შესაბამისობაში იყო იმ სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხება მატერიალურ რესურსებს, რადგან, ექსპერტის აზრით, საკმარისი იყო ის რესურსები, რაც გააჩნდა დაწესებულებას. თუმცა, თუ სურდა დაწესებულებას არქიტექტურის მხრივ უფრო განვითარება, ექსპერტმა შესთავაზა რამდენიმე რჩევა, რომ სტუდიოს მსგავსი კლასები შეექმნათ, ასევე ბიბლიოთეკაში შეეტანათ მეტი მატერიალური წიგნი არქიტექტურასთან დაკავშირებით, რადგან ახლა დაწესებულებას უმეტესი რესურსი ჰქონდა ელექტრონულად.
4.5 სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა ფინანსურ ბიუჯეტსა და მდგრადობას, ექსპერტის თქმით მათ ვერ ნახეს რაიმე სახის უზუსტობა. ასევე სტანდარტი 5.1, 5.2, 5.3 იყო შესაბამისობაში, თუმცა ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ამუშავების შემდგომ უფრო მარტივი იქნებოდა ამ სტანდარტების შეფასება.
შესაბამისად, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მხოლოდ ერთ სტანდარტთან იყო ნაწილობრივი შესაბამისობა ხოლო დანარჩენში იყო სრული შესაბამისობა, რაღაც ხარვეზების გამოკლებით. თუმცა ექსპერტის აზრით მოცემული ხარვეზები გამოსწორებადი იყო 1-2 წელიწადში. იქამდე კი დაწესებულებას შეეძლო დაეწყო პროგრამის განხორციელება და თან შეესწორებინა უზუსტობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჯოჯუა მიესალმა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს.
მისი თქმით მოცემული პროგრამა იყო შემუშავებული ინგლისურენოვანი არქიტექტურის პროგრამის პრაქტიკის გათვალისწინებით.
რაც შეეხება 1.3 რეკომენდაციას მან აღნიშნა, რომ თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული დაემატოს შეფასების პროცედურას რეალურ შედეგებთან შესადარებელი ფორმით. რაც შეეხება აღწერით ნაწილს მისი თქმით ეწერა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში მოცემულია ცხრილი სამიზნე ინდიკატორებით, კერძოდ სტუდენტების მაქსიმუმი მაინც მიიღებდა 81 ქულას. შესაბამისად, მისი თქმით უცნაური იყო მხოლოდ დაბალი ინდიკატორების განსაზღვრა რაც ნიშნავდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იმოქმედებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბევრი კარგი შეფასება იქნებოდა, მაგრამ არა იმ შემთხვევაში თუ ბევრი ცუდი შეფასება იქნება და დადგენილი ხარისხის კრიტერიუმს ვერც ერთი სტუდენტი ვერ მიაღწევდა.

მისი აზრით, მოცემული არ შეესაბამებოდა არსებულ გარემოებას, რადგან სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი იყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც სამიზნე ნიშნულები იყო განსაზღვრული გამოცდის განაწილების მხედველობაში მიღებით.
ამ მექანიზმში ასევე განსაზღვრული იყო შემდგომი პირობები და სამიზნე ნიშნულები და დოკუმენტის ციტირება მოახდინა „პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საგანმანთლებლო პროგრამაზე საყურადღებოდ მივიღებთ შემდეგ კონკრეტულ შედეგს. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა 50 პროცენტზე მეტი მიიღებს შეფასებას ჩაიჭრა, არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, მოხდება სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის გზების გადახედვა. საყურადღებო იქნება ისიც თუ სტუდენტები 40%-ზე მეტი მიიღებს უმაღლეს ქულას, ასეთ შემთხვევაში მოხდება ამ საგანზე, რამდენიმე წლიანი დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება სწავლებისა და შეფასების მეთოდები.”
მისი თქმით, აგრეთვე ამავე დოკუმენტში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები გადახრის დიაპაზონი 20% და ამ გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევების მექანიზმები. შესაბამისად სწავლის შედეგების, შეფასების მექანიზმებში არ იყო განსაზღვრული მხოლოდ დაბალი დონის ინდიკატორი და განსაზღვრული იყო ინდიკატორი იმ შემთხვევაშიც თუ ბევრი ცუდი შეფასება იქნებოდა და დადგენილი ხარისხის კრიტერიუმებს ვერცერთი სტუდენტი ვერ უზრუნველყოფდა.
ასევე მისი თქმით, დასკვნიდან იკითხებოდა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში, რომელშიც გაწერილია კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლებიც მონაწილეობენ ამა თუ იმ სწავლის შედეგის მიღწევაში შესაბამისი დონით გაცნობით, გაღრმავებით, განმტკიცებით და მითითებულია ამ სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, რომელ სემესტრში მოხდებოდა თითოეული კურსის შეფასება. შესაბამისად მისი თქმით, შესაძლოა დოკუმენტში იყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა ამ ხარვეზების გასწორებას აუცილებლად უზრუნველყოფდა დაწესებულება.
ასევ 1.4 რჩევასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომ პროგრამა მოიცავდა 240 კრედიტს მათ შორის თავისუფალი სავალდებულო კრედიტი იყო 20, სპეციალური სავალდებულო კომპონენტი იყო - 170 კრედიტი, სპეციალური არჩევითი არის - 15 და თავისუფალია ან დამატებით საგანმანათლებლო კურსები - 35 კრედიტი. შესაბამისად სტუდენტს თავისუფლად შეეძლო აერჩია ის კომპონენტი, რომელიც მას სურდა.
რაც შეეხება 1.5 რეკომენდაციას საათების გადანაწილებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა არც ერთი ისეთი საგანი, რომელზეც იყო მხოლოდ საკონტაქტო 14 საათი. მინიმალური სალექციო თუ პრაქტიკული საათი იყო 28. ასევე განცხადა, რომ აკადემიურ პერსონალს ვერ აიძულებდნენ, რომ პრაქტიკულ საგანზე შეემცირებინათ თეორიული საათები ან თეორიულ საგანზე შეემცირებინათ პრაქტიკული საათები. რადგან მისი განცხადებით ლექცია არ იყო მხოლოდ ლექტორის მონოლოგი, პირიქით ლექციები იყო ინტერაქციული, შესაბამისად მისი თქმით, რთული იყო გაემიჯნათ, თუ რამდენი წუთი ეთმობოდა მასალის ახსნასა და შემდგომ მის პრაქტიკულად განხორციელებას. წარმომადგენელმა კიდევ განმარტა, რომ ლექციაზე სტუდენტები იყვნენ ჩართულები ასევე წარადგენდნენ პრეზენტაციებს, პროექტებს და დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ ამ პროგრამას მხოლოდ თეორიული ცოდნით ვერ ისწავლიდნენ სტუდენტები. თუმცა არ დაეთანხმა ექსპერტების მიერ საათების გადანაწილების შესახებ რეკომენდაციას, რადგან მათი აზრით მოცემულ კურსებზე პრაქტიკული და სალექციო საათების გადანაწილება იძლეოდა საშუალებას, რომ მიღწეულ ყოფილიყო სწავლის შედეგი. ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოცემული პროგრამა დაფუძნებული იყო ინგლისურენოვან არქიტექტურის პროგრამაზე სადაც ანალოგიურად იყო საათები განაწილებული.
2.1 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განცხადა, რომ ექსპერტებმა რეკომენდაციის აღწერით ნაწილში დაწერეს, რომ ვერ დამტკიცდება ის ფაქტი, რომ ნაშრომის ავტორები სწორედ კონკრეტული აპლიკანტები იყვნენ.

თუმცა წარმომადგენელი არ დაეთანხმა ამ რეკომენდაციას, რადგან აპლიკანტებმა წინასწარ არ იცოდნენ, რომელი ნაწილის დახატვა მოუწევდათ, რადგან კომისია მიუთითებდა მათ თუ რომელი ნაწილი უნდა დაეხატათ.
ექსპერტებმა გასცეს ორი რეკომენდაცია პირველი, რომელიც ამბობდა, რომ სტუდენტები პრაქტიკულ საგნებზე უნდა დაყოფილიყვნენ პატარა ჯგუფებად და მათ ჰყოლოდათ ერთი ლექტორი და მეორე იყო, რომ დოკუმენტში გაწერილი ყველა ლექტორი არ ასწავლიდა საგანს და რეალურად ერთი ხელმძღვანელობდა კურსს. თუმცა წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოკუმენტში მითითებული იყო ყველა ის პირი, რომლებსაც შეეძლო განეხორციელებინა ესა თუ ის კურსი. ასევე განაცხადა, რომ მსგავსი კურსები ხორციელდებოდა ინგლისურენოვან პროგრამაზეც, რომლებშიც გამოყოფილი იყო კვირაში 6 საკონტაქტო საათი, ჯგუფები შედგებოდა საშუალოდ 15 სტუდენტისგან და ჯგუფს უძღვებოდა 1 ლექტორი. შესაბამისად მისი თქმით, აღნიშნული უზრუნველყოფდა, რომ სტუდენტის მიერ თავისუფლად ყოფილიყო ათვისებული სასწავლო კურსები.
რაც შეეხება 2.4 სტანდარტზე გაცემულ რეკომენდაციას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემული არ შეესაბამებოდა არსებულ რეალობას და დასკვნა იყო ზოგადი ხასიათის. მისი თქმით სილაბუსში მითითებული იყო ყველა სახის შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები.
რაც შეეხება 3.1 სტანდარტს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემული რეკომენდაცია ექსპერტებმა გასცეს ინტერვიუზე მომიჯნავე პროგრამის სტუდენტის მიერ გაჟღერებული მოსაზრების საფუძველზე. მან განაცხადა, რომ ყველა სტუდენტს მაქსიმალურად დაეხმარა ადმინისტრაცია რეგისტრაციისას, თუმცა 3000 სტუდენტში შეიძლება ყოფილიყო რამდენიმე, რომელსაც შეიძლება შექმნოდა პრობლემა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით. თუმცა უნივერისტეტში მისი თქმით გამოყოფილი იყო შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სტუდენტების მხარდაჭერას და აღნიშნული მისი თქმით ექსპერტებსაც ჰქონდათ დასკვნაში ასახული. შესაბამისად წარმომადგენელმა ვერ დაინახა მოცემული საკითხის რელევანტურობა არსებულ საკითხთან მიმართებით.
4.1 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია ეხებოდა ასისტენტ-პროფესორების საჭიროებას პროგრამაზე, დაწესებულება არ ეთანხმებოდა არსებულ რეკომენდაციას, რადგან არც ერთ სატანდარტში არ იყო საუბარი ან მოთხოვნილი ასისტენტ-პროფესორების არსებობა პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა მათ შორის პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებულ სამიზნე ნიშნულებს და უნივერსიტეტის ყველა პროგრამა შესაბამისობაში იყო მოცემულ დოკუმენტთან. შესაბამისად წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია არ იყო რელევანტური და ის უნდა ატარებდეს უფრო რჩევის სახეს და არა რეკომენდაციისას.
რაც შეეხება პერსონალის შეფასების სისტემას, რომელიც რეკომენდაცია არ იყო თუმცა ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, ამასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში იყო განსაზღვრული და შემუშავებული შესაბამისი მექანიზმი და შეფასების ფორმები. მისი განმარტებით მოცემული გაწერილი იყო დებულებებში, აკრედიტაციისთვის წარდგენილ დოკუმენტებში, ექსპერტებისთვის მიცემულ დოკუმენტებშიც, იმის მიუხედავად, რომ მათ დამატებით დოკუმენტები არ მოუთხოვიათ.
რაც შეეხებოდა მატერიალურ რესურსს, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სრულად დაკომპლექტებული იყო მოცემული რესურსებით და აუცილებლად იზრუნებდა მატერიალური რესურსის კიდევ უფრო გაზრდაზე. თუმცა, არსებული მოთხოვნებით ყველა სავალდებულო ლიტერატურა სრულად იყო უზრუნველყოფილი.
პროგრამის ხელმძღვანელი, გიორგი წანაწყენიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს, მან განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობდნენ 2 წელი ასევე განაცხადა, რომ პირველი აკრედიტაციიდან მეორე აკრედიტაციამდე პერიოდში დაწესებულებამ ინგლისურენოვან პროგრამაზე გაზარდა დარგობრივი საგნების კრედიტები 185 კრედიტამდე.

შესაბამისად, ანალოგიური გადმოვიდა ქართულ ენოვანზეც. მათი განცხადებით ქართული პროგრამა უფრო მოერგო ქართულ ბაზარს და რაღაც კურსები ჩაენაცვლა ერთმანეთს. ასევე განაცხადა, რომ მათი არქიტექტურის დიპლომით ყველა კურსდამთავრებული თავიანთი პროფესიით იყო დასაქმებული.
მან ასევე განაცხადა, რომ დაწესებულება ზრუნავდა, რომ მესამე კურსზე ყველა სტუდენტს უნდა გაევლო პრაქტიკული კურსი. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას მისი თქმით დაწესებულება ყოველ წლიურად ავითარებს მას. ასევე აღნიშნა, რომ მათ აქვთ შემოქმედებითი სტუდია ასევე მუშაობენ მულტიფუნქციური სტუდიის გაკეთებაზე. შესაბამისად დაწესებულება წარმომადგენლის თქმით იყო უზრუნველყოფილი, როგორც საჭირო მაგიდებითა და ხელსაწყოებით ისე კომპიუტერებით.
ასევე წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე. მან განაცხადა, რომ მოცემულს თვითონ ხელმძღვანელობდა. მისი თქმით აპლიკანტებს პირველ რიგში უნივერსიტეტში მიჰქონდათ თავიანთი პორტფოლიო, შემდგომ თითოეულ აპლიკანტს სვამდნენ აუდიტორიაში და მათ უწევთ, რომ დაეხატათ აუდიტორიის ინტერიერი ან ნებისმიერი ნივთი. მსგავსად აკეთებდნენ ექსტერიერის ხატვისასაც აპლიკანტებს სვამდნენ ეზოში და ისინი აკეთებდნენ ჩანახატებს. შესაბამისად, მოცემული ნამუშევრები ვერ გაყალბდებოდა და ისინი შეფასდებოდნენ ობიექტურად, როგორც განმახორციელებელი ლექტორების, ისე მოწვეული მოქმედი არქიტექტორების მიერ.
რაც შეეხება სწავლის შედეგებს, მისი განმარტებით მათ არ სურდათ, რომ 2020 წელს შემუშავებულის მსგავსი ყოფილიყო ამიტომ მათ მოახდინეს მცირედი ტრანსფორმაცია და შეიძლება რაიმე ცდომილება გაპარულიყო ამ დროს. ასევე შესაძლებელი იყო ერთი კურსი პასუხობდეს რამდენიმე სწავლის შედეგს და ამის დეტალიზაცია კიდევ უფრო შეიძლებოდა. შესაბამისად ისინი ნაწილობრივ იზიარებდნენ ექსპერტების დასკვნას.
რაც შეეხება საათების გადანაწილებას წარმომადგენლის განმარტებით სტუდენტები აკეთებდნენ სწავლის პროცესში 5 ძირითად პროექტს. გარდა, ისეთი პროექტებისა რასაც ქვია არქიტექტურის კომპოზიციის საფუძვლები არქიტექტურულ ხაზვაში, შენობა ნაგებობები და ასევე ჯგუფური მუშაობები, რომლის დროსაც უნივერსიტეტი მისი თქმით იწვევდა კურსდამთავრებულებს და რთავდნენ მათ სასწავლო პროცესში. მისი განმარტებით მოცემული პრაქტიკა დოკუმენტირებულიც იყო. ასევე აქვთ პრაქტიკა „ჩემი პირველი ნაბიჯი არქიტექტურაში“, რომლის ფარგლებშიც თვითონ სტუდენტები წელიწადში 2-ჯერ ასწავლიან აბიტურიენტებს არქიტექტურის შესახებ.
რაც შეეხება უცხოელ სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელშეწყობით ისინი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ გასვლებზე დადიან, რომლის ფოტომასალებიც გამოფენილია უნივერისტეტის დერეფნებში.
ასევე განაცხადა, რომ სადაც სტუდენტები მესამე კურსზე გადიოდნენ პრაქტიკას 10-დან 6 სტუდენტი იმავე სტუდიაში რჩებოდა სამუშაოდ. შესაბამისად უზრუნველყოფილი იყო სტუდენტებისათვის საფუძვლიანი განათლების მიცემა. ასევე მისი თქმით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები მუნიციპალიტეტებთან. ასევე მან განაცხადა, რომ დამსაქმებლებიც საკმაოდ კმაყოფილები იყვნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებით და მათი უნარ ჩვევებით.
ასევე წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ ეს რამდენიმე წელი საჭირო იქნებოდა, რომ განეხორციელებინათ დაკვირვება პროგრამაზე. თუმცა მისი მოსაზრებით იყო რაღაც საკითხები რაც რჩევაში უნდა ყოფილიყო და არა რეკომენდაციაში.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით ცირამუა, მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მისი განცხადებით უნივერსიტეტმა გასული წლის შემოდგომიდან ჰყავს ახალი მენეჯმენტი. შესაბამისად ახალი სასწავლო წელი დაიწყო ახალი სტრატეგიის ხედვით და მიზნით. შესაბამისად, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტი მისი თქმით შეიქმნა 2024 წლის დასაწყისში. მისი აზრით ის საკითხი, რომ სტუდენტები მოცემულ დეპარტამენტს არ იცნობდნენ საკმაოდ ლოგიკურია. თუმცა, დეპარტამენტი სტუდენტებს

უხარვეზოდ აძლევდა იმ სერვისებს რასაც სტანდარტები მოითხოვდნენ. მისი თქმით, დეპარტამენტი აერთიანებს 5 სამსახურს: კარიერისა და სამსახურის დაგეგმვა, life long learning ცენტრი, ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრი და ექსტრაკურიკულარული აქტივობების სამსახური. მისი თქმით სულ მცირე იანვრიდან 200-მდე აქტიური ვაკანსია იყო სტუდენტებთან შეთავაზებული და 2 დასაქმების ფორუმი. ასევე განაცხადა, რომ სტუდენტებთან ჰქონდათ საკომუნიკაციოდ შესაბამისი არხები და ის ფაქტი, რომ რამდენიმე სტუდენტი არ იცნობდა სამსახურის საქმიანობას, მისი აზრით, არ უნდა შეფასებულიყო როგორც სტანდარტთან შეუსაბამო.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინი ჩალაბაშვილი, მიესალმა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს. მანაც თავისი კოლეგების მსგავსი მოსაზრება გააჟღერა, რომ უცხოენოვან სტუდენტებთან მეტი კომუნიკაციის ქონა შეიძლება დაწესებულებას მიეღო, როგორც რჩევა, და არა რეკომენდაცია. ასევე მისი განცხადებით უნივერსიტეტი ზრუნავდა, რომ ყველა სტუდენტი ჩარიცხვამდე და ჩარიცხვის შემდეგ, უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყველა სერვისით. ასევე მისი განცხადებით უნივერსიტეტს ჰქონდა სტუდენტებთან სემესტრული შეხვედრები და დამატებითი აქტივობები. ასევე უნივერსიტეტს ჰყავდა შესაბამისი მონიტორინგის დეპარტამენტი, სადაც უცხოელი სტუდენტებისთვის გამოყოფილი იყო ცალკე მენეჯერი, რომელიც უშუალოდ უცხოელი სტუდენტების მოთხოვნებზე იყო ორიენტირებული. ამიტომ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემული რეკომენდაცია შეიძლება მხოლოდ რჩევის სახით ყოფილიყო გათვალისწინებული.

დაწესებულების ხარისხის უფროსმა, ანა გვრიტიშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს დიდი ისტორია აქვს ამავე ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში და მათი მთავარი მიზანია, რომ ხარისხიანი განათლება მიეწოდონ სტუდენტებისთვის. ასევე ისინი ორიენტირებულები არიან მცირე ჯგუფებზე, რომელშიც შედის საშუალოდ 15 სტუდენტი. ასევე ზრუნავენ რომ სტუდენტებმა მიიღონ მაქსიმალურად მეტი პრაქტიკული უნარი, რისთვისაც აქვთ სტუდიები და ასევე უნივერსიტეტი სრულად აღჭურვილია საჭირო ლიტერატურით. შესაბამისად, მისი თქმით ექსპერტებმაც არაერთხელ აღნიშნეს, რომ პროგრამა მზად არის, რომ დაეწყონ მისი განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, იყო თუ არა პროგრამა შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებლებთან, რადგან მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში ჰქონდა ჩანაწერი, რომ გარე შემფასებელმა ექსპერტმა დადებითად შეაფასა დარგობრივი მახასიათებლები და აინტერესებდა თავად ექსპერტების აზრი თუ შეაფასებს პროგრამა ამ მიმართულებით.

ექსპერტმა ირმა ქურდაძემ განაცხადა, რომ როგორც თავმჯდომარემ განაცხადა ხარისხის მხრივ შესაბამისობაში იყო პროგრამა სტანდარტებთან. ასევე მისი თქმით ექსპერტები დაეყრდნენ გარე შემფასებლის დასკვნას, თუმცა მის დასკვნაში კონკრეტულად არ იყო დარგობრივ მახასიათებლებზე საუბარი. თუმცა ის დოკუმენტები რაც დაწესებულებას ჰქონდა წარმომადგენელი ხარისხის კუთხით, მათი მიხედვით ყველაფერი შეესაბამებოდა სტანდარტებს.

საბჭოს წევრმა დააზუსტა კითხვა, რომ ის კითხულობდა არა ხარისხთან შესაბამისობას, არამედ კონკრეტულად დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობას. რადგან გარე შემფასებლებს ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ეწერა, რომ პროგრამა საერთაშორისო დარგობრივ მახასიათებლებს შეესაბამებოდა. შესაბამისად, აინტერესებდა თუ რამდენად შესაბამისობაში იყო პროგრამა ქართულ დარგობრივ მახასიათებლებთან.

ექსპერტმა ირაკლი ჟვანიამ, სთხოვა საბჭოს წევრს დაეზუსტებინა რას გულისხმობდა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში, რაზეც ციური დურულმა აღნიშნა, რომ დარგობრივ მახასიათებელში გულისხმობდა იმ დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია დარგის

მინიმალური სტანდარტი პროგრამებისთვის შემუშავებული და განთავსებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.
ირაკლი ჟვანიამ, რომელიც ექსპერტთა ჯგუფში მიწვეული იყო, როგორც მოქმედი არქიტექტურის სპეციალისტი, განმარტა, რომ მან იმუშავა მეორე სტანდარტზე და განაცხადა, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტებს და შესაძლებელი იყო რომ ბაკალავრის დონეზე არქიტექტურის სწავლება დაწყებულიყო. თუმცა, მისი როგორც დარგში მომუშავე სპეციალისტის, აზრით პროგრამას სჭირდებოდა განვითარება, რადგან პროგრამის გაცნობისას შეხვდა უმეტესად ძველი, მისი სტუდენტობის დროს არსებული და რამდენიმე განახლებული საგანი. ასევე დაამატა, რომ სტუდენტების მიერ სემესტრის, თუ წლის ბოლოს გასაკეთებელი პროექტებიც კი ძველი იყო, როგორიცაა სკოლის ან ბაღის პროექტი. შესაბამისად მისი თქმით მის სტუდენტობაში არსებული პროგრამა უკვე მოძველებული იყო და აუცილებელი იყო რომ უნივერსიტეტი მიახლოებოდა არა მხოლოდ საქართველოში არსებულ არქიტექტურის პროგრამებს, არამედ საზღვარგარეთ არსებულ მსგავს პროგრამებს.
ასევე მან განმარტა, რომ აუცილებელი იყო ჯგუფი გაყოფილიყო პატარა ჯგუფებად, რადგან, მომიჯნავე ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ როდესაც პროგრამაში გაწერილი იყო რამდენიმე ლექტორი, მთელს ჯგუფს სინამდვილეში ხელმძღვანელობდა ერთი. შესაბამისად, მას წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ ლექტორს შეუძლია სემესტრში ყველა სტუდენტის დაუთმოს ინდივიდუალურად დრო.
ასევე მან განმარტა, რომ სილაბუსები ყველა კურსისთვის შედგენილი იყო სტანდარტულად, შაბლონების საფუძველზე მცირედი განსხვავებით. ასევე სილაბუსებში არ იყო ჩაშლილი სემესტრის მიხედვით თუ რომელ კვირაში რა სახის შუალედური შეფასება ტარდება, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა.
შესაბამისად არსებული რეალობა აკმაყოფილებს გარკვეულ ათწლეულების წინანდელ მინიმალურ სტანდარტს, თუმცა ერთ-ორ წელში სასურველია, რომ ეს სტანდარტები ამაღლდეს და მიუახლოვდეს არათუ დასავლურ, არამედ საქართველოში სხვა მსგავს ამ დარგში არსებულ პროგრამებს. როდესაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულება უმაღლესი განათლების ბაზარზე უშვებს ყოველ წელს 30 სტუდენტს, ისინი ქვეყნის შიგნითაც კონკურენტუნარიანები უნდა იყვნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ მეგობრები, რომლებიც სხვა უსდ-ებში სწავლობენ არქიტექტურის პროგრამაზე და მათ აქვთ შეგრძნება, რომ ისინი ცოტა უფრო მაღალი ტემპით უნდა მიდიოდნენ წინ შავი ზღვის უნივერსიტეტში. ამიტომ სახელმწიფოს და შემფასებლების პასუხისმგებლობა ახალგაზრდების მიმართ მაღალია და თვლიან, რომ პროგრამა სტუდენტებს უნდა ამზადებდეს იმისთვის, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავიანთ პროფესიაში თავს გრძნობდნენ მომზადებულად და კონკურენტუნარიანად. იმ შემთხვევაში, მათი აზრით ასე ვერ იქნება და ისინი უფრო სუსტ პოზიციებზე დარჩებიან, თუკი ერთ-ორ წელიწადში პროგრამა არ განიცდის ცვლილებას და არ გაძლიერდება. ამგვარი მიდგომით, როგორც უკვე თავჯდომარემ აღნიშნა, შეიძლება ერთი ორი წლის განმავლობაში დაიწყოს სწავლება, თუმცა შემდეგ აუცილებელი იქნება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების და შეთავაზებების განხილვა. ასევე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადება, რომ ყველაფერი წესრიგშია და იდეალურადაა და არ ეთანხმებიან რეკომენდაციას, მისი აზრით, არ არის მართებული პოზიცია.
გიორგი მახარაშვილმა (შავი ზღვის უნივერსიტეტის პრორექტორმა) გამოთქვა სურვილი გაეკეთებინა კომენტარი და აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულება ღრმა პატივისცემას უდასტურებს ექსპერტებს და საბჭოს ანალოგიურ პატივისცემას იმსახურებენ მათი მხრიდან (აქ ჩაერთო ექსპერტი ირაკლი ჟვანია და განაცხადა, რომ პატივისცემა არ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ სიტყვით არამედ მათი შესრულებული საქმით, რაზეც გიორგი მახარაშვილმა განაცხადა, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ ექსპერტის მოსაზრებებს მაგრამ არ შეუწყვეტინებიათ მისთვის საუბარი და ესეც პატივისცემის საკითხს წარმოადგენდა) და ექსპერტის მხრიდან არ უნდა იყოს საუბარი ისეთი ფრაზებით, როგორიც არის “წინა საუკუნის”, “30 წლის წინანდელი”

და ა.შ. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტს არ უნდა დასჭირდეს იმის ახსნა რა არის დარგობრივი მახასიათებელი და თუ არ ხელმძღვანელობდნენ დარგობრივი მახასიათებლით და ხელმძღვანელობდნენ პირადი შეხედულებებით მაშინ როგორ უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ ან საბჭომ ექსპერტთა აზრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი წანაწყენიშვილმა (პროგრამის ხელმძღვანელმა), დამატებით განმარტა, რომ თავად იყო ჩართული დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში დაახლოებით 2 წლის განმავლობაში. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ერთად მუშაობდა რამდენიმე უნივერსიტეტის წარმომადგენელი და აღნიშნული წარმოადგენს შეჯერებულ დოკუმენტს, რომელშიც არის ძირითადი, საბაზისო და ის მინიმალური კომპეტენციები გაწერილი, რომელიც მოეთხოვება და ამ დარგს და რა თქმა უნდა მათი პროგრამა თავსებადია აღნიშნულ დოკუმენტთან. მისი განმარტებით, როდესაც ახალი პროგრამის აკრედიტაცია მოუწიათ მათ სრულიად გადაამუშავეს პროგრამა დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებით. მაგალითად, თუ მანამდე 140 კრედიტი იყო ძირითადი საგნებიდან ახლა 185-მდე არის გაზრდილი. მიზნების ნაწილშიც პროგრამა სრულად თავსებადია დარგობრივ მახასიათებელთან და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ არის უნივერსალური, არამედ ის არის მინიმალური კომპეტენციების მაჩვენებელი რასთანაც აღნიშნული პროგრამა სრულად თავსებადია და დარგობრივი მახასიათებელი არ კრძალავს ზემოდან რამის დამატებას, მაგალითად შემოქმედებითი ნაწილის კუთხით.

საბჭოს თავჯდომარემ თხოვნით მიმართა ჯგუფის თავჯდომარეს მისი მოსაზრება წარმოედგინა ციური დურულის მიერ დასმულ შეკითხვაზე.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო პროფესიონალებით და მას და ირაკლი ჟვანიას აქვთ არაერთ ქვეყანაში მიღებული გამოცდილება სწავლების მიმართულებით და კარგად იცნობენ დარგის მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული არქიტექტურის პროგრამები მსოფლიოში არსებულ მსგავს პროგრამებს ცოტათი ჩამორჩება. ასევე განმარტა, რომ მათ ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდათ, რომ შავი ზღვის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა მის ანალოგ პროგრამებს დროში ჩამორჩებოდა. თუმცა, რადგან მოცემული პროგრამა იყო ბაკალავრის დონის, მოცემული ფაქტი არ იყო ცუდი ან მიუღებელი, რადგან რასაც დღეს საქართველოში შესაძლოა შრომის ბაზარი ითხოვდეს, ხდება მისი მიწოდება. რეკომენდაციების წარმოდგენის საჭიროება გამოიწვია სურვილმა, რომ ამაღლდეს ხარისხი და ამისთვის საჭიროა თანამიმდევრულობის დაცვა რომელი სასწავლო პროგრამა რომელ შედეგთან არის შესაბამისობაში. რა სასწავლო მიზნები უნდა იქნეს მიღწეული უნდა დალაგდეს და მერე უკვე რამდენად წარმატებით მუშაობს აღნიშნული განისაზღვრება და დალაგება რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ შეიძლება დადგინდეს. საერთაშორისო ექსპერტის თქმით, არქიტექტურის ერთგვარ განსაკუთრებულ მახასიათებელს წარმოადგენს, ის რომ აღნიშნული დარგის სწავლება მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურს. მან აღნიშნა, რომ მის უნივერსიტეტში 1.5 ჯერ მეტი პროფესორი ასწავლის არქიტექტურის სტუდენტებს, ვიდრე იმავე რაოდენობის ინჟინერიის სტუდენტებს. დარგობრივი რეგულაციების შესაბამისობისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტები არ იყვნენ მარტო, მათ ნათლად უნდა დაინახონ რა სახის თეორიები არსებობს, რამდენი საათი უნდა დაიხარჯოს მათთან ერთად პრაქტიკაზე რათა ისინი ჩამოყალიბდნენ არქიტექტორებად. შესაბამისად მნიშვნელოვანია რომ თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად მიექცეს ყურადღება და ამიტომ გაიცა ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა, აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტს არ დაუდასტურებია, რომ იცნობს ქართულ დარგობრივ მახასიათებელს და მის მიხედვით იხელმძღვანელა და მისი აზრით არ არის ეთიკურია ექსპერტის მხრიდან იმის განცხადება, რომ ზოგადად საქართველოში არსებული არქიტექტურის პროგრამები ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს. იგი დაწესებულების მხრიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გიორგი

წანაწყენიშვილი ჩართული იყო დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში და აღნიშნავს, რომ რათა ზუსტად არ ყოფილიყო კოპირებული დარგობრივი მახასიათებლის შედეგები, ამიტომ მოხდა მცირედი ცვლილება აღნიშნული შედეგების და სრულად თავსებადია დარგობრივ მახასიათებელთან.

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში რეკომენდაცია იწერება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ხარვეზი, რომელიც ეფუძნება აკრედიტაციის სტანდარტების შეუსრულებლობას ან დარგობრივი მახასიათებლების დაუკმაყოფილებლობას. შესაბამისად მისი აზრით, როცა ექსპერტი მოუწოდებს დაწესებულებას განვითარებისკენ მან თავისი მოსაზრება უნდა გაეწეროს რჩევაში და არა რეკომენდაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, შეფასების განხორციელების დრო თუ იყო მათი მხრიდან გამოყენებული დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განმარტა, რომ მინიმალური სტანდარტი უდავოდ ჰქონდა უნივერსიტეტს დაკმაყოფილებული, ძალიან კარგია, როდესაც არის საერთაშორისო გამოცდილება და საერთაშირისო ექსპერტებს უნდათ უფრო მაღალი დონე, თუმცა იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საბჭოს წევრის - ციური დურულის მიერ იყო აღნიშნული, გარე შემფასებელი ექსპერტის მოსაზრებით, აღნიშნული პროგრამა აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრმა ციური დურულმა დააზუსტა კითხვა, რომ პროგრამა შემუშავებული იყო 2020 წელს. შესაბამისად, არც ისე ძველი იყო დოკუმენტი, თუმცა ექსპერტების განმარტებით პროგრამა საკმაოდ ჩამორჩებოდა დღეს არსებულ სხვა არქიტექტურის პროგრამებს, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ დარგობრივი მახასიათებელიც არქიტექტურის მიმართულებით შემუშავებულია 2020 წელს, შესაბამისად ამიტომ გაუჩნდა მას კითხვა, რომ იყო თუ არა შესაბამისობაში პროგრამა დარგობრივ მახასიათებლებთან.

თამარ ლომინაძემ სთხოვა დარგის ექსპერტებს განემარტათ რამდენად გადის პროგრამა იმ შედეგებზე რაზეც უნდა გადიოდეს და როგორია მისი შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებელთან.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ მათი რეკომენდაციები შემუშავებულია ისეთი მიმართულებით, რომ თუ ისინი შესრულდება პროგრამა შესაბამისობაში იქნება აღნიშნული დარგის მოთხოვნებთან, მათ შორის საქართველოში მოქმედ დარგობრივ მახასიათებელთან. თუ არ დალაგდება შედეგები და კურსები ერთმანეთთან ის არ იქნება შესაბამისობაში აღნიშნულ დოკუმენტებთან, რადგან შეუძლებელი იქნება შეფასდეს სტუდენტი რამდენად გავა აღნიშნულ შედეგებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ნაკლებად იცნობს იმ საკანონმდებლო მოთხოვნებს საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით, კერძოდ, რა არის ის მინიმალური დრო რომელიც სტუდენტს უნდა დაეთმოს, რომ მერე მან შეძლოს ინდივიდუალურად იმუშაოს 90 საათი. აქედან გამომდინარე, მისი თქმით ის დაზუსტებით ვერ იტყვის ლექციების 14 საათი არის თუ არა წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და მათ შორის დარგობრივ მახასიათებელთან. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც არქიტექტურაში მოქმედებს - ეს არ არის შესაბამისობაში. აღნიშნული რეკომენდაციები შემუშავდა იმისთვის, რომ პროგრამა სრულად შეესაბამებოდეს ყველა სტანდარტს, შესაბამისად თუ დაწესებულება დაიწყებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას და გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს მომავალში ის სრულად იქნება შესაბამისობაში როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სტანდარტებთან. თუკი, სტუდენტებს ნაკლები ლექციები და პრაქტიკა ექნებათ მათ უსდ-ში, ისინი ვერ გაუწევენ კონკურენციას უცხოური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს. აქედან გამომდინარე მისი აზრით, დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება უზრუნველყოფს, რომ პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან. საერთაშორისო ექსპერტის თქმით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შესწევს ამის ძალა და ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნება მათი რეკომენდაციების დახმარებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანა გვრიტიშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საერთაშორისო ექსპერტი არ იცნობს საქართველოში არსებულ დარგობრივ მახასიათებელს, რაც, თვითონ ექსპერტის განცხადებითაც დასტურდება და დაწესებულება თავის მხრივ მიიჩნევს, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას.
საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ 1.4 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ მძიმე შენიშვნა, რომ მოცემული პროგრამა სტრუქტურითა და შინაარსით ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე ყურადღება გაამახვილა რჩევაზე რომლის მიხედვითაც 35 კრედიტში გაწერილი საგნები უმჯობესი იქნებოდა, რომ გადასულიყო სავალდებულო საგნებში. თუმცა ამათ ფონზე სტანდარტის შეფასება იყო მეტწილად შესაბამისი. შესაბამისად საბჭოს წევრს აინტერესებდა თუ რატომ შეაფასეს მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტთან თუ იყო ასეთი მძიმე რეკომენდაციები.
საერთაშორისო ექსპერტმა გააზიარა დოკუმენტი და მიუთითა, რომ უნივერისტეტს ჰქონდა 15 კრედიტი სპეციალობის არჩევითი საგანი და მის ქვემოთ უკვე იყო ჯამში 35 კრედიტის არჩევითი საგნები, თუმცა ამ 35 კრედიტიდან სტუდენტს მხოლოდ შეეძლო 15 კრედიტის რაოდენობის საგნების აღება და დანარჩენი დარჩენილი 20 კრედიტი შეიძლება დაგეგროვებინა მხოლოდ უნივერსიტეტში არსებული სხვა ფაკულტეტების პროგრამებში გაწერილი საგნებიდან. მისი აზრით მოცემული დაყოფა დროის ფუჭი ხარჯვა იყო, რადგან თუ სექტორში მოთხოვნადი 35 კრედიტის რაოდენობის საგნები ჰქონდათ გაწერილი, რატომ უნდა ყოფილიყო სტუდენტი იძულებული, რომ ესწავლა 20 კრედიტის რაოდენობის სხვა ფაკულტეტის საგნები, როდესაც სასწავლო გეგმაში გაწერილი არჩევითი სასწავლო კურსები მეტად მნიშვნელოვანია დარგისათვის, ვიდრე უსდ-ს მიერ შეთავაზებული სხვა საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები.
შემდგომ ექსპერტმა მიუთითა სწავლის შედეგების დოკუმენტზე, სადაც მისი თქმით კარგად იყო ნაჩვენები საგნები და მათი სწავლის შედეგები, თუმცა მოცემულ დოკუმენტში არსებული ჩამონათვალი არ ემთხვეოდა პროგრამაში გაწერილ შედეგებს. შესაბამისად მისი თქმით უნივერსიტეტი ვერ იტყოდა, რომ რომელიმე სწავლის შედეგი დაკმაყოფილებული ჰქონდა სტუდენტს, რადგან პროგრამაში სხვა რამ ეწერა. შესაბამისად მათი რეკომენდაცია იყო, რომ დალაგებულიყო მოცემული საკითხები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჯოჯუამ განმარტა, რომ კრედიტებთან დაკავშირებული საკითხი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველგან მსგავსად იყო მოწესრიგებული.
საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ დააზუსტა, რომ ექსპერტის თქმით მოცემული 35 კრედიტში გაწერილი საგნები ყველა მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი იყო ბაზარზე და უნდა გადაეტანათ ეს საგნები სავალდებულოში, შესაბამისად ამაზე კომენტარი უნდა გაეკეთებინათ დაწესებულების დარგის წარმომადგენელს ან პროგრამის ხელმძღვანელს.
პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი წანაწყენიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ მაქსიმუმამდე აწია ძირითადი სასწავლო კურსები და გაწერეს დამატებით 35 კრედიტი. 35 კრედიტიდან სავალდებულოდ 15 კრედიტი დარგობრივი საგნების აღების შემდგომ არ კრძალავდა დანარჩენი 20 კრედიტი დარგობრივი საგნების არჩევას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ანა გვრიტიშვილმა დამატებით განმარტა, რომ სტუდენტს დარჩენილი 20 კრედიტში შეეძლო აერჩია, როგორც დარგობრივი ისე სხვა პროგრამის საგნებიც შესაბამისად ისინი შეზღუდულები არ იყვნენ მოცემულ 35 კრედიტში გაწერილი საგნების არჩევისგან. შესაბამისად წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის რჩევა იყო მისი სურვილი და მოცემული არ გულისხმობდა იმას, რომ მოცემული სტრუქტურა არ გადიოდა შედეგზე.
საბჭოს თავმჯდომარემ ინსტიტუციას მიმართა კითხვით თუ რა მექანიზმებით ხდებოდა, მაგალითად პირველი შედეგის შემოწმება.

გიორგი წანაწყენიშვილმა განმარტა, რომ მოცემულ დოკუმენტში იყო დაჯგუფებული შედეგები ხოლო შემდგომ ცხრილში იყო გაყოფილი თუ რომელ შედეგზე გადიოდა საგანი. თუმცა ექსპერტის მოსაზრებას, რომ მოცემული დოკუმენტი დასალაგებელი იყო იზიარებდნენ და გადახედავდნენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:20
დასრულების დრო: 20:40
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა გადაწყვეტილება, კერძოდ, მეხუთე სტანდარტში დაემატა რეკომენდაციები, რომლის შედეგადაც 5.1 და 5.3 კომპონენტი ნაცვლად "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რამაც გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

რეკომენდაციებად განისაზღვრა:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დაიყოს კომპეტენციების მიხედვით. სწავლის მრავალი შედეგი აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას. სასარგებლო იქნება მათი გაყოფა:

    1. არქიტექტურის ისტორია და თეორია გამოეყოს შენობების მენეჯმენტს და სამართლებრივ საფუძვლებს O1-ში.
    2. საოპერაციო პროცესები, მშენებლობის ორგანიზება, საპროექტო არეალის გაუმჯობესება გაიყოს O4-ში პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციებისგან.
    3. O5-ში ურბანული დაგეგმარების კონტექსტიდან გაიყოს შენობის არქიტექტურული თავისებურებები.

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ცხრილების დოკუმენტი ხელახლა იყოს შედგენილი და კომპონენტები (კურსები) ემთხვეოდეს სწავლის იმ შედეგებს, რომელსაც მიეკუთვნება.
- რეკომენდებულია თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული დაემატოს შეფასების პროცედურის რეალურ შედეგებთან შესადარებელი ფორმით.
- რეკომენდებულია, სილაბუსებში აისახოს შეფასების მეთოდები, რომელიც მოცემულია დოკუმენტში „პროგრამის კომპონენტები და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების სქემა".
- რეკომენდებულია, გადახედოთ სწავლის შედეგების შეფასებას 1.2 კომპონენტის მიხედვით, კომპეტენციების უფრო მკაფიოდ განსაზღვრულ სფეროებად დაყოფის შემდეგ, რადგან შეფასება შეიძლება მინიჭებული იყოს ამ სფეროების განმსაზღვრელი სხვადასხვა კურსის შეფასებასთან უშუალო კავშირში.
- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ამ ფორმით ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რამეთუ საჭიროა სწავლის შედეგების მხარდაჭერა საგნებით, ამჟამინდელი სტრუქტურით კი ისინი არეულია. რეკომენდებულია, კომპონენტების რესტრუქტურიზაცია და რომ თითოეული საგანი შეესაბამებოდეს შედეგს მას შემდეგ, რაც შედეგები ხელახლა ჩამოყალიბდება.

- რეკომენდებულია, რომ 125 საათის განაწილება დამოუკიდებელ სამუშაოს, ლექციასა და სემინარულ/ჯგუფურ მუშაობას/პრაქტიკულ სამუშაოს შორის შეიცვალოს შემდეგი 5 კრედიტიანი კურსებისთვის:

    1. გაზარდეთ 28 საათიანი საკონტაქტო საათი, რათა გაორმაგდეს და შესაბამისად შეამცირეთ დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყოფილი 93 საათი, რათა მიაღწიოთ ჩამოთვლილი საგნების სწავლის შედეგებს: მათემატიკა, გეომეტრიული მოდელირების საფუძვლები, გეოდეზია, მასალები და კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები, ურბანული დაგეგმარების საფუძვლები.
    2. გაზარდეთ 14 სალექციო საათი სამჯერ და შესაბამისად შეამცირეთ 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათი სწავლის შედეგების მისაღწევად ჩამოთვლილი საგნებისთვის: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგია.
    3. გაზარდეთ 14 სალექციო საათი სამჯერ და შეამცირეთ შესაბამისად 93 დამოუკიდებელი სამუშაო საათი სწავლის შედეგების მისაღწევად: რეპრეზენტაციული ხატვა, არქიტექტურული ხაზვა, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა.

- რეკომენდებულია, უზრუნველეყოთ პროგრამაზე დაშვების უფრო ღია და სამართლიანი პროცესი, სადაც აპლიკანტები სრულყოფილად შეძლებენ საკუთარი შემოქმედებითი და დიზაინის უნარების დემონსტრირებას, კომისიის წინაშე.
- რეკომენდებულია, პროგრამის მორგება საერთაშორისო არქიტექტურული განათლების საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტებზე.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და განხილული იყოს არქიტექტურის პროგრამები რომლებიც ხორციელდება სხვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომლებიც აწყობილია საერთაშორისო პრაქტიკების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, არქიტექტურული დიზაინის კურსისთვის, ყველა სტუდენტი დაიყოს 4- 6 სტუდენტისაგან შემდარ მცირე ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაენიშნოს ერთი ხელმძღვანელი პროფესორი.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის 14-ზე მეტი სალექციო საათის შეთავაზება პროფესორების დასწრებით, შემდეგ კურსებში: არქიტექტურა და ხელოვნება, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა, სოციოლოგიამ, რადგან სწავლების მეთოდი შესაბამისობაში იქნება სწავლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუკი ამ კურსებში სტუდენტებისთვის არ დარჩება მხოლოდ 93 დამოუკიდებელი საათი, ასე ცოტა სალექციო საათის ფონზე.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის 14-ზე მეტი სალექციო საათის შეთავაზება პროფესორების დასწრებით, შემდეგ კურსებში: გამომხატველი ნახაზი, არქიტექტურული ნახაზი, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია, პრაქტიკა. რადგან სწავლების მეთოდი შესაბამისობაში იქნება სწავლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუკი ამ კურსებში სტუდენტებისთვის არ დარჩება მხოლოდ 93 დამოუკიდებელი საათი, ასე ცოტა სალექციო საათის ფონზე.
- რეკომენდებულია სილაბუსებში მიეთითოს თითოეულ კურსში გამოყენებული შუალედური შეფასების ყველა ტიპი და მათი კრიტერიუმები და ისინი უნდა განისაზღვროს სემესტრის კონკრეტულ კვირებში.

- რეკომენდებულია, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტმა გააუმჯობესოს კომუნიკაცია სტუდენტებთან, უფრო აქტიურად ითანამშრომლოს მათთან და ჩართოს ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის პერსონალმა მეტი ყურადღება მიაქციოს უცხოელი სტუდენტების საჭიროებებს და ხელი შეუწყოს მათ საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საჭიროება არ არსებობს ქართულენოვან პროგრამასთან მიმართებით.
- არქიტექტურასთან დაკავშირებულ დარგებში უსდ განიცდის ასისტენტების და ასისტენტ პროფესორების აბსოლუტურ ნაკლებობას. პროგრამა არ იქნება მდგრადი ასეთი აფილირებული პერსონალის გარეშე. რეკომენდებულია, რომ დარგის სპეციალობის მქონე მოწვეული სასწავლო პერსონალი უფრო ნაკლები იყოს და დაემატოს ასისტენტების სახით მეტი აფილირებული პერსონალი.
- რეკომენდებულია მეტი პერსონალის გამოყოფა 10 კრედიტიანი კურსებისთვის, რამეთუ დოკუმენტებში პერსონალის რაოდენობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა რეალურად, ხშირ შემთხვევაში, ამ პოზიციებს ერთი და იგივე პროფესორები ავსებენ. ეს რეკომენდაცია ეხება შემდეგ საგნებს: ARC 2000 არქიტექტურული პროექტირება (Architectural Design) I, ARC 2500 არქიტექტურული პროექტირება II, ARC 3002 არქიტექტურული პროექტირება III, ARC 3502 არქიტექტურული პროექტირება IV და ARC 4001 არქიტექტურული პროექტირება V.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით კომპლექსურად შემოწმდეს პროგრამის დასრულებული პროექტის როგორც შინაარსობრივი (მაგ. სწავლის შედეგები, პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, სხვ.) ასევე, ფორმალური (სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები) მხარე, რაც შექმნის პროგრამის დამტკიცების ეტაპზევე სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას.
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სრულად იქნეს გამოყენებული შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც იდენტიფიცირებულია დაწესებულების მიერ, რაც შექმნის გამოწვევებზე დროულად რეაგირების და გაუმჯობესების შესაძლებლობას.

რჩევებად განისაზღვრა:

- სასურველია, ხელახლა ჩამოაყალიბოთ მიზანი N2, რათა ცალკე გამოყოთ ურბანული დაგეგმარების პროცესები როგორც ცოდნის ერთი სფერო, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიები და ინჟინერიის საკითხები როგორც ცალკე სფერო.
- სასურველია, შემდეგი სწავლის შედეგის ჩამოყალიბება: - კონსტრუქციული ინჟინერიისა და შენობების მშენებლობის უნარები - ხატვისა და მოდელირების უნარები, გაერთიანებული ან გამოყოფილი ციფრული რეპრეზენტაციის უნარებისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები არა მხოლოდ მათთვის, ვინც არ მიიღებს 81+ ქულას, არამედ შეიმუშავოს ნიშნულიც, რომელიც განსაზღვრავს რამდენმა სტუდენტმა უნდა მიიღოს წინასწარ განსაზღვრულ ქულაზე მეტი, რათა უსდ-მ შეძლოს რეაგირება, თუკი ძალიან ბევრი სტუდენტი ვერ შეძლებს სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, პროგრამის მიზნები, შედეგები და კომპონენტები ხელახლა შეფასდეს 1.2-ში მოცემული რჩევების მიხედვით.
- სასურველია, ყველა არჩევითი კომპონენტი (35 კრედიტი) სავალდებულო გახდეს და მხოლოდ 15 კრედიტი დარჩეს თავისუფალი არჩევითი კომპონენტებისთვის.

- ვინაიდან ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა, სასურველია უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურა დაემატოს ბევრ კურსს, რათა ხელი შეუწყოს სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, აპლიკანტებს მოსთხოვოთ, პირადი და თავისუფალი არჩევანით წარმოადგინონ დიზაინის პორტფოლიო - ესკიზები, ფერწერა, ნახატები, ნამუშევრები, ტექნიკური/გეომეტრიული ნახაზები, ფოტოები და ა.შ. წარმოდგენილი პორტფოლიოების განხილვის შემდეგ შეარჩიეთ აპლიკანტები, რათა ადგილზე ჩაატაროთ ტესტები ერთიანი მოთხოვნების საფუძველზე და არა პორტფოლიოსთან დაკავშირებულ თემებზე, რათა მათ შეძლონ საკუთარი უნარების წარმოჩენა კომისიის წინაშე.
- სასურველია უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება ვიზიტებისა და ერთობლივი პროექტების მეშვეობით.
- სასურველია უმეტეს საგნებში ლიტერატურის სიის გამდიდრება და საერთაშორისო გამოცდილების დაფარვა.
- სასურველია პროგრამას დაემატოს ადგილზე ვიზიტები და საველე ექსკურსიები.
- სასურველია არქიტექტურული დიზაინის თითოეული პროექტისთვის განისაზღვროს და მიეწოდოს მეტი კონტექსტი არჩეული ადგილის მდებარეობისა და გარემოს შესახებ.
- სასურველია განისაზღვროს შუალედური შეფასებებისა და დავალებების, ქვიზების ან პრეზენტაციების შინაარსი და თემები.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართულობას საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს სტუდენტებთან და მათი მოსაზრებების საფუძველზე განიხილოს პროგრამის განვითარების გზები.
- დარგობრივი ცოდნის მქონე ასოცირებული პროფესორი სასურველზე მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი, ამ რაოდენობის სტანდარტთან შესაბამისობის შემთხვევაშიც კი, სასურველია მათი რაოდენობის გაზრდა.
- სასურველია, პერიოდულად გადაიხედოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება, რათა შემდგომში დაიხვეწოს მათი შეფასების მეთოდოლოგია.
- სასურველია, ხელახლა გადააწყოთ აუდიტორიებია და სტუდიური სივრცეები, რათა მერხების რიგში ტრადიციულად განლაგების ნაცვლად, უფრო შთამაგონებელი სამუშაო და შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნათ არქიტექტურის სტუდენტებისთვის.
- სასურველია შეიქმნას ჯგუფური სამუშაოსათვის და საერთო პროექტებისათვის უფრო მიმზიდველი სივრცეები, რომელიც წაახალისებს გუნდურ სულისკვეთებას სტუდენტებში.
- სასურველია, გაუმჯობესდეს არქიტექტურის, ურბანიზმის, ნაგებობისა და მსგავსი დარგების შესაბამისი წიგნებისა და ჟურნალების კოლექციის ბეჭდური ვერსიები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს “ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2026).

საკითხების განხილვის შემდგომ საბჭო დახურულად გამოცხადდა 20:40 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ